

ძველი ხელნაწერების ახალი სიცოცხლე – გაციფრულებული  
ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა  
კოდიკოლოგიური და ტექსტოლოგიური კვლევებისათვის  
(ოთხთავის ხელნაწერების მაგალითზე)

დარეჯან თვალთვაძე (თბილისი)

ციფრულმა ეპოქამ ბევრი რამ შეცვალა ჩვენს ცხოვრებაში და, ცხადია, ხელნაწერთ-მცოდნეობის სფეროშიც. თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლო-გიების განვითარებამ და მონაცემთა დიდი ბაზების გაჩენამ სამეცნიერო ინფრას-ტრუქტურის მკვეთრი ცვლილებაც გამოიწვია. ძველ მანუსკრიპტთა ფოტო- და მიკ-როფილმებზე ფიქსაცია ხელნაწერთა დიგიტალიზაციამ შეცვალა, რამაც შესაძლებე-ლი გახადა მაღალი ხარისხის ციფრული ფოტოასლების მიღება, რომლებიც ხელნა-წერთა პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური და ტექსტოლოგიური თვალსაზრისით შესწავლისთვის სანდო წყაროდ იქცა.

კოდიკოლოგიური და ტექსტოლოგიური კვლევებისთვის ყველაზე უტყუარი წყა-რო, რა თქმა უნდა, თავად ხელნაწერია, მაგრამ მათი დიდი ნაწილი მკვლევართა-თვის ყოველთვის არ არის ადვილად ხელმისაწვდომი (ინახება სხვადასხვა სამეცნი-ერო თუ სამონასტრო ცენტრში, ბიბლიოთეკასა თუ მუზეუმში, ხშირად სხვადასხვა ქვეყანაში). ამიტომაც მეცნიერებს ზოგჯერ უხდებათ არა უშუალოდ პირველწყაროს გამოყენება, არამედ მათი ფოტოასლებით სარგებლობა. XX საუკუნის ბოლომდე ამ-გვარი „მეორეული წყაროები“, ძირითადად, შავ-თეთრი (ხშირად დაბალი ხარის-ხის) ფოტოპირების სახით იყო წარმოდგენილი, რომლებიც ნაკლებად იძლეოდნენ ამომწურავ ინფორმაციას ხელნაწერის პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური მახასი-ათებლებისა (როგორცაა რუბრიკაცია, ტექსტის სტრუქტურირებისა და ინფორმა-ციის ვიზუალიზაციისთვის ნაწერში სხვადასხვა ფერის მელნის გამოყენება, ლინი-რება, მანუსკრიპტში სხვადასხვა შრეების არსებობა, გადაშლილ-გადაფხეკილი, კო-რექტირებული და რედაქტირებული ადგილები, ხელნაწერის დაზიანების ხარისხი და სხვ.)<sup>1</sup> და თავად ტექსტის შესახებ. დიგიტალიზირებული ხელნაწერები კი, შეიძ-ლება ითქვას, რომ ამ მხრივ პირველწყაროებს უტოლდებიან. გარდა ამისა, ხელნა-წერთა გაციფრულებამ შესაძლებელი გახადა ბევრი ახალი მასალის გამოვლენა (გან-საკუთრებით პალიმფსესტურ ხელნაწერებში) და მათში დაცული ტექსტების იდენ-ტიფიცირებაც, რაც ასევე ციფრულ ფორმატში არსებული დიდი ტექსტური

---

<sup>1</sup> იხ. 1950 წელს ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკის მიერ გადაღებული სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართული ხელნაწერებისა და იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ქართული ხელნაწერების კოლექციის მიკროფილმების ელექტრონული ვერსიები კონგრესის ბიბლიოთეკის ვებგვერდებზე <https://www.loc.gov>. იქვეა გამოქვეყნებული 1952-53 წლებში საერთაშორისო პროექტის „ბერძნული ახალი აღთქმა“ ფარგლებში ათონის მთაზე გადაღებული 4 ძველი ქართული ხელნაწერის (N 42, 62, 78, 83) მიკროფილმების ასლები. (Library of Congress Collection of Manuscripts from the Monasteries of Mt. Athos (<https://www.loc.gov/item/00271050355-ma/>))

ბაზებისა და ენის კორპუსების დახმარებით მოხერხდა<sup>2</sup>; შეიქმნა მანუსკრიპტთა ციფრული კოლექციებიც, რომელთაგან ბევრი ღია რესურსია. ამიტომ კითხვაზე, რა სიკეთე მოუტანა დიგიტალურმა ეპოქამ კოდიკოლოგიასა და ტექსტოლოგიას, პასუხი ნათელია: გაიზარდა პირველწყაროთა ხელმისაწვდომობა, რამაც განაპირობა კოდიკოლოგიური და ტექსტოლოგიური კვლევების სანდოობის ხარისხის ამაღლება, რადგან ეს კვლევები ეფუძნება არა მეორეულ წყაროებს, არამედ, ფაქტობრივად, პირველწყაროებს – ხელნაწერთა მაღალი ხარისხის ციფრულ ასლებს, რომლებიც რეალურად ასახავენ ხელნაწერი წიგნის მდგომარეობას და მასში დაცული ტექსტის ვითარებას. ამ პროცესში ჩამოყალიბდა კვლევის ახალი მეთოდებიც და ახალი დარგებიც: ციფრული პალეოგრაფია, ციფრული კოდიკოლოგია, ციფრული ტექსტოლოგია და სხვ.<sup>3</sup>

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ხელნაწერთა დიგიტალიზაცია ქართული სამეცნიერო სივრცისთვის, რადგან ძველ ქართულ ხელნაწერთა მნიშვნელოვანი კოლექციები, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ ინახება, ობიექტური მიზეზების გამო სამეცნიერო მიმოქცევაში შეზღუდულად გამოიყენებოდა, ამ მანუსკრიპტთა ციფრული ასლების გაჩენამ კი ისინი მკვლევართათვის ხელმისაწვდომი გახადა. მაგალითად, ათონის ივერთა მონასტრის წიგნთსაცავში დაცულ 90-ზე მეტ ძველ ქართულ ხელნაწერს, რომლებიც ჩვენი მწერლობის, ენისა და კულტურის ისტორიისთვის უმნიშვნელოვანეს ტექსტებს შეიცავენ, მეცნიერები XX საუკუნის 80-იან წლებამდე ტექსტოლოგიური კვლევებისთვის, ფაქტობრივად, ვერ იყენებდნენ, რადგან შეზღუდული იყო მათი ადგილზე გაცნობის შესაძლებლობა; ფოტოასლები კი, რამდენიმე იშვიათი გამონაკლისის გარდა<sup>4</sup>, არ არსებობდა. ამიტომ ქართველი მეცნიერები ხშირად დანანებით აღნიშნავდნენ, რომ მათ მიერ გამოცემული ტექსტის კრიტიკულ აპარატში თუ ტექსტის შესახებ დაწერილ გამოკვლევაში ხელმისაწვდომობის გამო ვერ აისახა ათონური ხელნაწერების მონაცემები<sup>5</sup>. ვითარება გა-

<sup>2</sup> მაგალითად დავასახელებთ ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული პალიმფსესტური ხელნაწერისა (N2) და სინას მთაზე აღმოჩენილი ალბანური პალიმფსესტების გამოცემებს (Gippert 2007; Gippert et al. 2008–2010).

<sup>3</sup> ქართულ სამეცნიერო სივრცეში ტერმინი „ციფრული“ გამოიყენება ტერმინ „დიგიტალურის“ პარალელურად, „დიგიტალიზაციის“ სინონიმად კი „გაციფრულება“ მკვიდრდება (ცნებებისა და ტერმინების განსაზღვრასთან დაკავშირებით იხ. თანდაშვილი-ყამარაული 2021: 20–24)

<sup>4</sup> ქართველ მეცნიერებს ამ დროს მხოლოდ 12 ხელნაწერზე მიუწვდებოდათ ხელი (დანელია-სარჯველაძე 1997: 166).

<sup>5</sup> მაგალითად, 1981 წლამდე ქართველი მეცნიერებისთვის ერთადერთი გვიანდელი ნუსხით (S-312, 1541 წ.) იყო ხელმისაწვდომი უძველესი ქართული გრამატიკული ტრაქტატის „სიტყუად ართრონთათვს“ ტექსტი, რომლის შესახებ მისი გამომცემელი და მკვლევარი მზ. შანიძე აღნიშნავს: „...ვარაუდის შემოწმება შეუძლებელი იყო, რადგან ათონურ ხელნაწერზე ხელი არ მიგვიწვდებოდა, მხოლოდ 1981 წლის გაზაფხულზე, როდესაც თბილისის უნივერსიტეტმა მიიღო ათონის ივერთა მონასტრის ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმები (გადაღებული გურამ პატარაიას თაოსნობით), მოგვეცა საშუალება, გავცნობოდით ამ კოლექციას. ჩვენდა სასიხარულოდ, ვარაუდი გაგვიმართლდა: N 6 ხელნაწერში აღმოჩნდა არა მარტო გრამატიკული ტრაქტატის ადრეული, XII-XIII საუკუნეებში გადაწერილი ტექსტი, არამედ ოქროპირის სახელით ცნობილი ის ნაწარმოებიც, რომლის თარგმნაც გამხდარა გრამატიკული ნაშრომის დაწერის უშუალო მიზეზი“ (შანიძე 1990: 19); პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანების ტექსტის გამომცემელი და მკვლევარი კ.

უმჯობესდა გასული საუკუნის 80-იან წლებში, როცა ქართულ სამეცნიერო ცენტრებს გადაეცა 1980 წელს კინორეჟისორ გურამ პატარაიას მიერ გადაღებული „ივირონში“ დაცული ხელნაწერების მიკროფილმები, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი სრულფასოვანი კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური კვლევის ჩატარების საშუალებას მაინც არ იძლევიან.

ამ საქმეში გარდამტეხი მნიშვნელობის აღმოჩნდა XX საუკუნის ბოლო წლებში ფრანკფურტის ვ. გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტში პროფესორ იოსტ გიპერტის მიერ ქართველ მეცნიერებთან თანამშრომლობით დაწყებული პროექტები (TITUS, ARMAZI)<sup>6</sup>, რომლებიც ქართული ენის წერილობითი ძეგლების ელექტრონულ დოკუმენტირებასაც ისახავდა მიზნად. ამ პროექტებით საფუძველჩაყრილი საქმე XXI საუკუნეში ახალი პროექტებით გაგრძელდა („კავკასიური წარმოშობის პალიმფსესტები“, „ოთხთავის ტექსტის შემცველი ქართული ხელნაწერების კატალოგი“ (SAXAREBA PROJECT), „დიגיტალური ჰუმანიტარია“ (LOEWE), „ქართული პალიმფსესტური ხელნაწერები“ (GeoPal) და სხვ.),<sup>7</sup> რომელთა მიზანი უკვე ქართული წერილობითი ძეგლების პირველწყაროების, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ძველი ქართული ხელნაწერების დიგიტალიზაცია იყო. სწორედ ამ პროექტების ფარგლებში გახდა შესაძლებელი სინის მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერების დიდი ნაწილისა და ათონის მთაზე, ივირონის მონასტერში არსებული ხელნაწერების კოლექციის სრულად დიგიტალიზირება, რასაც დაემატა სხვადასხვა პროექტის ფარგლებში შექმნილი გაციფრულებული ქართული ხელნაწერები, უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებისა თუ ბიბლიოთეკების მიერ სხვა მანუსკრიპტებთან ერთად ქართულ ხელნაწერთა ციფრული ასლების დამზადება და გამოქვეყნება (საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა<sup>8</sup>, ვატიკანის ბიბლიოთეკა<sup>9</sup>, ბრიტანეთის მუზეუმი<sup>10</sup> და სხვ.); დაიწყო საქართველოში დაცული ხელნაწერების გაციფრულებაც (ვ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს ეროვნული არქივი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი და სხვ.)<sup>11</sup>. მიუხედავად იმისა, რომ

---

დანელიაც წერდა: „სამწუხაროდ, Ath. N18 (ბლეიკით) N82 (ცაგარლით) ხელნაწერზე ხელი არ მიგვიწვდებოდა“ (დანელია 1983: 318). აღსანიშნავია, რომ ათონის ხელნაწერების მიკროფილმების საქართველოში ჩამოტანის შემდეგ სწორედ ამ ხელნაწერში აღმოჩნდა ეფრემ მცირის თარგმნილი ეგზეგეტიკური თხზულების, „პავლეს ეპისტოლეთა თარგმანების“, ბოლო ნაწილი (თარგმანება ტიმოთეს II, ტიტუს და ფილომონის მიმართ ეპისტოლეებისა), რომლებიც არცერთ სხვა ხელნაწერს არ შემოუნახავს და მისი მთარგმნელის, ეფრემ მცირის, ვრცელი კოლოფონიც, რომელიც, ასევე, მხოლოდ ამ ათონური ხელნაწერთაა მოღწეული (თვალთვაძე 2009: 70–73; 81–98).

<sup>6</sup> ARMAZI – Caucasian Languages and Cultures: Electronic Documentation (1999–2002; J. Gippert/M. Tandashvili; Volkswagen-Stiftung); <https://armazi.uni-frankfurt.de>; TITUS – Thesaurus Indogermanischer Text- und Sprachmaterialien (J. Gippert); <https://titus.unifrankfurt.de>.

<sup>7</sup> აღნიშნული პროექტებისა და მათ ფარგლებში შექმნილი ციფრული რესურსების შესახებ იხ. თანდაშვილი-ყამარაული 2021: 52–100.

<sup>8</sup> <https://www.bnf.fr/en>.

<sup>9</sup> <https://digi.vatlib.it/mss>.

<sup>10</sup> <http://www.bl.uk/manuscripts/BriefDisplay.aspx>.

<sup>11</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დაცული ხელნაწერების ციფრული ასლები ღიად ხელმისაწვდომი არ არის.

ამ მხრივ გასაკეთებელი კიდევ ბევრია, უდავოა, რომ **დიגיტალური ქართველოლოგია**, რომელიც სულ უფრო და უფრო იკრებს ძალებს, მოიაზრებს ქართული ხელნაწერების დიგიტალიზაციასა და კვლევას. გაციფრულებულმა ძველმა ქართულმა ხელნაწერებმა კი უკვე დაიწყეს თავიანთი ახალი სიცოცხლე და გვიჩვენეს მათი მნიშვნელობაც როგორც პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური, ისე ტექსტოლოგიური კვლევებისთვის. სტატიაში რამდენიმე კონკრეტულ შემთხვევას განვიხილავთ სახარება-ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის შემცველი ხელნაწერების მაგალითზე.

**სახარება-ოთხთავის ქართული ხელნაწერები.** სახარებათა ძველი ქართული თარგმანის ტექსტი ჩვენამდე 300-ზე მეტი ხელნაწერთაა მოღწეული. სრულ და ნაკლულ ნუსხებთან ერთად მათ შორისაა პალიმფსესტები და ძველ ლიტურგიკულ კრებულებში (ლექციონარებში) წარმოდგენილი საკითხავებიც.<sup>12</sup> მათი დიდი ნაწილი საქართველოში არსებულ სამეცნიერო ცენტრებსა და მუზეუმებში ინახება, ნაწილი კი (50-მდე კოდექსი) მის ფარგლებს გარეთ (ავსტრია, აშშ, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, ეგვიპტე, ვატიკანი, იტალია, ისრაელი, რუსეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, სომხეთი) არის დაცული (ნ. ჩხიკვაძე და სხვ. 2018).

ხელნაწერები ჩვენამდე სხვადასხვა სახითაა მოღწეული, მათი მხოლოდ მცირე ნაწილია დაუზიანებელი; განსხვავებულია დაზიანების ხარისხი (თავ-ბოლონაკლული, ალაგ-ალაგ ნაკლული, ფრაგმენტული) და ტიპიც (დაშლილი, მელანგადასული, მელნისგან დაზიანებული, დალაქავებული, ნესტის ან ხანძრისგან გაშავებული და ა. შ.). მათი ერთი ნაწილი ძველ დროშივე განუახლებიათ ქართველ მწიგნობრებს: დაშლილი ხელნაწერი წიგნები აუკინძავთ, ყდაში ჩაუსვამთ, ნაკლული ადგილები სხვა ხელნაწერებიდან შეუვსიათ, მელანგადასული ადგილები კი გაუცხოველებიათ და მათთვის ახალი სიცოცხლე მიუნიჭებიათ.<sup>13</sup> მაგრამ, მიუხედავად ასეთი ზრუნვისა, ეტრატზე შესრულებული ძველი ხელნაწერების ერთი ნაწილი მაინც ვერ გადაურჩა პალიმფსესტებად ქცევას, რასაც მათს ფიზიკურ მდგომარეობაზე მეტად ამ კოდექსებში დაცული ტექსტების შინაარსობრივი „მომძვლეობა“ (ძველი თარგმანები/რედაქციები) განაპირობებდა. პალიმფსესტურ ფურცლებად ქცეული ასეთი ხელნაწერები მეორე სიცოცხლეს იწყებენ, მაგრამ უკვე სხვა ტექსტისთვის, რომელიც გადაფხევილ-გადარეცხილ ფურცლებზე იწერება. მათზე დაწერილი თავდაპირველი ტექსტი კი ზოგჯერ სამუდამოდ, უკეთეს შემთხვევაში კი, დიდი ხნით ეძლევა

<sup>12</sup> სახარების ტექსტი წამოდგენილია სხვა ლიტურგიკულ კრებულებშიც (მაგ., საწელიწდო სახარება, აპრაკოსი), ეგზეგეტიკურ თხზულებებსა და პატრისტიკულ ლიტერატურაში ციტატების სახით, რაც ასევე საინტერესო მასალას იძლევა კვლევისთვის.

<sup>13</sup> ქართულ ხელნაწერთა კოლექციებში მრავალი ხელნაწერი ინახება, რომლებიც ძველ მწიგნობრებს განუახლებიათ. ამის შესახებაც ცნობებს ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებიც გვაწვდიან („ერთი სახარება დაშლილი ვპოვე... შევკაზმე და სადაგად შევმოსე“; „განვაახლე წიგნი ესე“; „მე ვაცხოველებდ და დაკლებულსა დავსწერდ და დაფარულსა განვაცხადებდ, ხოლო იგი ჰკაზმავნ და კურავნ“; „ძუელსა წიგნებსა რა განახლება, ჩამატება და შეერვა უნდოდა, ყველა გავაკეთებინე“; „დამავებული იყო... და განვაცხოველე“).

დავიწყებას<sup>14</sup>. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების შემდეგ სხვადასხვა მეთოდითა და ტექნოლოგიის გამოყენებით შესაძლებელი გახდა მათი წაკითხვა, ხელნაწერი წიგნის პალიმფსესტურ ფურცლებად ქცევა გარკვეულწილად მისთვის მაინც სიცოცხლის დასასრულია, სიცოცხლის შენარჩუნების გზა კი მისი განახლებაა, რაც ძველ დროში, საჭიროებიდან გამომდინარე, ძირითადად გულისხმობდა: ა) გაცხოველებას (მელნის გაფერმკრთალების გამო ფერწასული ნაწერის რესტავრირებას მისთვის კალმის გადატარების გზით; ბ) შემოსვა-შეკაზმვას (დაშლილი კოდექსების აკინძვა-შეკერვა, ყდაში ჩასმა), გ) შევსებას (ნაკლებად ადგილების აღდგენა სხვა ხელნაწერი წიგნების მიხედვით). თუმცა, შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც ხდებოდა ხელნაწერი წიგნების კიდევ ერთი ნიშნით განახლება – ესაა „ახლისადა მიყვანება“, რაც, როგორც ყველა სხვა სახეობა წიგნის განახლებისა, მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად, ოღონდ გულისხმობდა კოდექსის არა ტექნიკური თვალსაზრისით გაუმჯობესებას (რესტავრაციას), არამედ თავად ტექსტის განახლებას, მის კორექტირებას, ახალი რედაქციის მიხედვით ტექსტში ცვლილებების შეტანას (რედაქტირებას) და ამ გზით „ახლად ქცევას“. ამის შესახებ ჯერ კიდევ 1926 წელს წერდა ივანე ჯავახიშვილი: „*ხელნაწერებში მკვლევარი ამოფხვილ და ახლად ჩაწერილ ასო-სიტყვებს შეხვდება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ყოველთვის და ყველგან დედნის ტექსტის აღდგენისა და გადანაწერის შეცდომის შესწორებასთან არ გვაქვს ხოლმე საქმე. ზოგჯერ ეს ძველი ტექსტის ახალ ნათარგმნ ტექსტთან შესათანხმებლად წარმოებული მუშაობის ნაყოფია. მკვლევარს ეს გარემოება მეტადრე სახარების ტექსტის შესწორებათა თავისებურების დახასიათების დროს უნდა ახსოვდეს*“ (ჯავახიშვილი 1926: XXX/1996: 81).

მართლაც, ოთხთავის ქართულ ხელნაწერთა შორის გვაქვს ისეთი ნუსხებიც, რომლებშიც „*ძველი ტექსტის ახალ ნათარგმნ ტექსტთან შესათანხმებლად წარმოებული მუშაობის*“ (ივ. ჯავახიშვილი) კვალი კარგად ჩანს. ცხადია, რომ ამგვარად შესწორე-

<sup>14</sup> პალიმფსესტური ქართული ხელნაწერების შესწავლამ ბევრი სიახლე გამოავლინა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, როცა 1922 წელს ივანე ჯავახიშვილმა ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული ქართულ-ებრაულ პალიმფსესტში იერემიას წინასწარმეტყველების ხანმეტი ფრაგმენტები ამოიკითხა, რასაც მალე საქართველოში დაცული პალიმფსესტების (Mss. A-89, A-737, A-844, H-999) გამოვლენა და შესწავლა მოჰყვა, რომლებშიც სახარებისა და სამოციქულოს ფრაგმენტები აღმოჩნდა (ჯავახიშვილი 1923/1996; შანიძე 1923/1981). ეს ინტერესი არც შემდეგ შენელებულა და პალიმფსესტებში შემონახულმა არაერთმა ძველმა ტექსტმა იხილა მზის სინათლე (ხანმეტი მრავალთავი, ჰაემეტი ლექციონარი და სხვ.). ბოლო პერიოდში ამ კუთხით გამოვლენილი სიახლეებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ იოსტ გიპერტის მიერ დიგიტალიზირებული და იდენტიფიცირებული ტექსტები. ქართული პალიმფსესტების დიგიტალიზაციისა და გამიფერისთვის მან პირველმა გამოიყენა MUSIS-ი და მულტისპექტრული ანალიზის მეთოდი (Multispectral Imaging System). მანვე ზ. სარჯველაძესა და ლ. ქაჯაიასთან თანამშრომლობით 2007 წელს გამოსცა ვენის N 2 ძველი ქართული პალიმფსესტური ხელნაწერი, ხოლო ზაზა ალექსიძესთან, ვოლფგანგ შულცესა და ჟან-პიერ მანესთან თანაავტორობით 2010 წელს გამოაქვეყნა „კავკასიელ ალბანელთა პალიმფსესტები სინას მთიდან“, ახლახან ათონის მთაზეც გამოვლინდა რამდენიმე პალიმფსესტური ხელნაწერი; 2017 წელს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ ქართული პალიმფსესტების შესახებ გამოცემულ წიგნში თავმოყრილია ინფორმაცია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული პალიმფსესტური ხელნაწერების შესახებ (ალექსიძე-ჩიტუნაშვილი და სხვ. 2017).



ბული (რედაქტირებული) ტექსტის ტექსტოლოგიური კვლევისთვის გამოყენებისას, პირველ რიგში, უნდა დაფიქსირდეს შესწორების ყოველი ფაქტი და, შეძლებისდაგვარად, მოხდეს შესწორებამდე არსებული წაკითხვის რეკონსტრუირება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბარი რედაქტირებული ხელნაწერის მონაცემების ავთენტურობასა და ხელნაწერთა ურთიერთმიმართების დასადგენად მისი ვარიანტების გათვალისწინებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ის დასკვნები, რომლებიც გაკეთდება ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად, არასწორი გამოდგეს. სტატიაში რამდენიმე ასეთ შემთხვევას განვიხილავთ სახარება-ოთხთავის ძველი ქართული თარგმანების შემცველი ორი ათონური ხელნაწერის მაგალითზე. მათგან ერთი (Ivir.georg. 83) 913 წელს სამხრეთ საქართველოში, ოპიზის მონასტერში (Blake 1933–1934: 265–267)<sup>15</sup> გადაწერილი ცნობილი ხელნაწერია (ოპიზის ოთხთავი), ხოლო მეორე – XI საუკუნის კოდექსი Ivir.georg. 62 (Blake 1933–1934: 251),<sup>16</sup> რომლის თავდაპირველი ტექსტი გვიანაა ნასწორები ქართული ეკლესიის მიერ ვულგატად აღიარებული გიორგი ათონელისეული რედაქციის ტექსტის მიხედვით. აღნიშნული ხელნაწერების მიკროფირზე გადაღება XX საუკუნის შუა წლებში მოხდა, რომელთაგან დამზადებული შავ-თეთრი ფოტოების ელექტრონული ვერსიები (სურ. N1; N2) დღეს ხელმისაწვდომია აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკის ვებგვერდზე<sup>17</sup>.



სურ. N1 (Ivir.georg. 83, 16v-17r)



სურ. N2 (Ivir.georg. 62, 16v-17r)

2016–2019 წლებში ფოლკსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის „GeoPal“ ფარგლებში („ქართული პალიმფსესტური ხელნაწერები“, პროექტის ხელმძღვანელი მაინის ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფე-

<sup>15</sup> ალ. ცაგარლის კატალოგში ეს ხელნაწერი შეტანილი არ არის. ხელნაწერის შესახებ იხ. აგრეთვე, თვალთვამე 2019–2020: 181–210.


<sup>16</sup> ეს ხელნაწერი ცნობილია ოპიზის ოთხთავის სახელწოდებით და წარმომავლობის მიხედვით პირობითად აღნიშნავენ **o** ლიტერით. ბლეიკის აზრით, მანუსკრიპტი ათონური წარმოშობისაა და ის შესაძლოა შეიცავდეს სახარების ექვთიმეს მიერ რედაქტირებულ ტექსტს. ალ. ცაგარლის კატალოგში ხელნაწერის რიგითი ნომერია 4 (Цагарели 1886: 75); ხელნაწერის შესახებ იხ. აგრეთვე, კვირკველია 2019: 34-44.

<sup>17</sup> (1000) Monastery of Iviron 62. Four Gospels. 11th cent. 297 f. – 1099. [Manuscript/Mixed Material] Retrieved from the Library of Congress, <https://www.loc.gov/item/00271050331-ma>. (0913) Monastery of Iviron 83. Four Gospels. 913 A.D. 260 f. 913. [Manuscript/Mixed Material] Retrieved from the Library of Congress, <https://www.loc.gov/item/00271050355-ma>; ფოტოები ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფოტოასლების განყოფილებაშიც.

სორი იოსტ გიპერტი), რომელიც ივირონის მონასტრის წიგნთსაცავში დაცული ქართული ხელნაწერების ანალიტიკური აღწერილობის მომზადებასა და იქ დაცული პალიმფსესტების შესწავლას გულისხმობდა, შესაძლებელი გახდა ივირონის მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერების სრული კოლექციის დიგიტალიზაცია, რის შედეგადაც პროექტის მონაწილეებს შესაძლებლობა მოგვეცა გვესარგებლა ათონური ხელნაწერების მაღალი ხარისხის ციფრული ფოტოასლებით<sup>18</sup>. ციფრული ფოტოების დამუშავების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ოპიზის ოთხთავის შესახებ ბევრი ისეთი საყურადღებო ფაქტი გამოვლინდა, რაც აქამდე ნაკლებად იყო ცნობილი და რომელიც აღნიშნული ტექსტის გამოცემის ან მისი სხვა ხელნაწერებთან შედარების დროს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

ხელნაწერის ციფრულ ფოტოებზე კარგად ჩანს, რომ Ivir.georg. 83-ის ეტრატის ფურცლების ნაწილზე მელანი გადალეულია. მის აღდგენაზე უმუშავია გვიანდელ მწიგნობარს, რომელსაც ხელნაწერის გვერდები გაუცხოველებია (სრულად ან ნაწილობრივ, განსაკუთრებით დასაწყისში – მათეს სახარების ნაწილში).

გამცხოველებელი შავი ფერის მელნით მუშაობს და ცდილობს ხელნაწერის გადამწერის – გრიგოლ ოპიზელის მიერ ყავისფერი მელნით გამოყვანილი ასომთავრული ასოების მოხაზულობა გაიმეოროს, რასაც ზოგჯერ კარგად, უფრო ხშირად კი ნაკლები ოსტატობით ახერხებს (სურ. N 3, 26v). ხელნაწერს ეტყობა „შეწამების“ კვალიც – ალაგ-ალაგ ყავისფერი მელნითა და იმავე ხელით, როგორც ჩანს, თვითონ გადამწერის მიერვე გასწორებულია წერის პროცესში გაპარული შეცდომები (ე. წ. კალმის ლაფსუსები, გამორჩენილი ასოები, სიტყვები და სხვ.). მაგრამ, გარდა გაცხოველებული და გადამწერის მიერ კორექტირებული ადგილებისა, კარგად ჩანს




სურ. N3, 26v

ხელნაწერის გადამწერის მიერ ასომთავრულით და ყავისფერი მელნით დაწერილ ტექსტში სხვა ხელით, შავი ფერის მელნითა და ნუსხური ასოებით ჩასწორებული ადგილები, რაც ხელნაწერის თავდაპირველ ტექსტზე გვიანდელი მწიგნობრის რედაქტორულ მუშაობას ადასტურებს (წაშლილია ძველი და გადაწერილია ახალი,


<sup>18</sup> მათი ნიმუშების გამოქვეყნების ნებართვისთვის მადლობას ვუხდით „ივირონის“ ბიბლიოთეკარს მამა თეოლოგოსს.



ამოფხევილია სიტყვები, მარცვლები, ასოები, ზოგჯერ მთელი მუხლიც ან ჩამატებულია სიტყვები, მარცვლები, ასოები, მუხლი და ა. შ. (სურ. N4).



სურ. N4 (Ivir.georg. 83, 34v-35r)



სურ. N5

შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად, Ivir.georg. 83-ის ცალკეულ ფურცლებზე, პალიმფსესტური ხელნაწერების მსგავსად, გვაქვს ორი შრე: ა) პირველადი ტექსტი, რომელიც გრიგოლ ოპიზელმა დაწერა (O) და ბ) მეორეული ტექსტი, რომელიც მისი ჩასწორების, რედაქტირების შედეგად არის მიღებული (O<sup>o</sup>). რა თქმა უნდა, სახარება-ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის ტექსტის ისტორიისთვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, რა ეწერა 913 წელს გადაწერილ ხელნაწერში თავდაპირველად და როგორ, რატომ და რის მიხედვით შეცვალეს ის მოგვიანებით, რა გადააწერეს მას ზემოდან. თუ ამის გარკვევას შევეცდებით ხელნაწერის შავ-თეთრი ფოტოების მიხედვით (სურ. N5), მოგვიწევს იმის აღიარება, რომ შემთხვევათა უმრავლესობაში ხელნაწერის თავდაპირველი წაკითხვის აღდგენა შეუძლებელია. ამასთანავე, ცხადია, რომ, ის, რაც ფოტოზე თვალთ არ ჩანს, შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ოთხთავის ქართული თარგმანის ტექსტის ისტორიისთვის.

სახარება-ოთხთავის ქართულად თარგმნა-რედაქტირების ეტაპები. სანამ კონკრეტული შემთხვევების ანალიზს დავიწყებთ, მოკლედ უნდა მიმოვიხილოთ სახარების ტექსტის ქართულად თარგმნა-რედაქტირების ისტორია, რომელიც, დღეს ჩვენს



ხელთ არსებული წერილობითი წყაროების მიხედვით, V საუკუნიდან იწყება<sup>19</sup> და XII საუკუნემდე გრძელდება. მასში ორი ძირითადი პერიოდი გამოიყოფა: I – წინათონური და II – ათონური. წინათონურ პერიოდში (X საუკუნის ბოლომდე) უკვე არსებობდა ქართული ოთხთავის ორი უძველესი რედაქცია:<sup>20</sup> ა) ადიშური<sup>21</sup> და ბ) ოპიზური/ჯრუჭ-პარხლისა,<sup>22</sup> რომელიც, როგორც ერთგვარი აღიარებული ტექსტი (*Textus receptus*), ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვრცელდებოდა და დამკვიდრდა საეკლესიო პრაქტიკაში, რის გამოც აკაკი შანიძემ მას „ქართული პროტოვულგატა“ (შანიძე 1945: 4) უწოდა (სტატიაში აღნიშნულია სიგლით Pr.). IX–XI საუკუნეების კოდექსები გვიდასტურებენ ოთხთავის ე. წ. ნარევი (კონტამინირებული) რედაქციის არსებობასაც, რომლისთვისაც დამახასიათებელია ადიშური, პროტოვულგატური და ორიგინალური ვარიანტების თანაარსებობა.<sup>23</sup>

X საუკუნის ბოლოდან იერუსალიმური ღვთისმსახურების წესის კონსტანტინეპოლურით შეცვლასთან ერთად ინტენსიურად იწყება სახარების ქართული თარგმანის ბერძნულ ორიგინალთან დაახლოების პროცესი, რისი შედეგიც ასახულია გარდამავალი ჯგუფის ე.წ. „გადამუშავებული პროტოვულგატის“ ხელნაწერებში (Pr.), რომლებიც, ძირითადად, სწორედ X საუკუნის ბოლოს და XI საუკუნის შუა წლებამდეა გადაწერილი.<sup>24</sup>

XI საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა ქართველ მთარგმნელთა საქმიანობას განსაზღვრავს ელინოფილური კონცეფცია – „ყოველივე ბერძულისაგან და ვითარ იგი ბერძულად არს“ (ეფრემ მცირე) – იწყება არა მარტო საეკლესიო ლიტურგიკული პრაქტიკის „ბერძნულსა წესსა მიყვანება“, არამედ „გაელინურება“ აქამდე არსებული ქართული თარგმანებისა. ის შედარებულ-შეჯერებულ იქნა სახარების ე. წ. ბიზანტიურ ტექსტთან, რომელსაც იმხანად ბერძნული ეკლესია „უეჭველად და სანდოდ“

<sup>19</sup> უძველესია პალიმფსესტურ ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტი, რომლებიც V–VII საუკუნეებით თარიღდება (ქაჯაია 1984: 3–7; ქაჯაია 2014: 11; Gippert 2007: 368).

<sup>20</sup> გამოირიცხული არ არის, რომ ქართულად სახარება-ოთხთავის სხვა თარგმანიც არსებულებოდა.

<sup>21</sup> ადიშური რედაქცია წარმოდგენილია, ძირითადად, 897 წლის ადიშის ოთხთავის ხელნაწერში (ლუკას სახარების 3:9–15:6 და 17:25–23:2-ის გამოკლებით, რომელიც ოპიზური რედაქციისა), ხანმეტი ოთხთავის პალიმფსესტური ფრაგმენტებით (A-89/844; მათე 5:18–11:7), ქსნის ოთხთავის (A-507) და „ანბანდიდი სახარების“ (IX ს.) ზოგიერთ მონაკვეთში და რამდენიმე ფრაგმენტულ ხელნაწერში. ადიშური რედაქცია არ არის ფართოდ გავრცელებული და მასში ქართული თარგმანის სომხურის მიხედვით სწორების კვალი ჩანს (ადიშის ოთხთავი, 2003; ს. სარჯველაძე 2003: 15–70; Sarjeladze 2012: 167–190).

<sup>22</sup> ოპიზური/ჯრუჭ-პარხლის რედაქცია დაცულია დღეისათვის გამოვლენილ X–XI საუკუნის 40-მდე სრულ და ფრაგმენტულ ხელნაწერში (შანიძე 1945; ლ. ქაჯაია 1984; Preathonian Redaction, 2002; ლუკას სახარება 2016; იოანეს სახარება 2020).

<sup>23</sup> ნარევი რედაქციის ტექსტს შეიცავს ქსნის ოთხთავი (იმნაიშვილი 1949: 291–321), ტვიბერის ოთხთავის (სიემ. 73) ჩანართი – მთ. 14:19–15:24 (სარჯველაძე-თვალთვაძე 2011: 99–118); „ანბანდიდის“ ერთი ნაწილი (ანბანდიდი 2010: 5–19); მარტვილის ოთხთავის მარკოზის სახარების ნაწილი, XI საუკუნის ხელნაწერი H-1240 და პალიმფსესტური ხელნაწერები: H-1836-1890 და H-1395/H-1871 (სარჯველაძე 2010).

<sup>24</sup> იხ. სარჯველაძე 2001: 109–133; Sarjeladze 2021: 169–174. იოანეს სახარებისთვის ამ ჯგუფს ქმნის FGSchw(fr-17) ხელნაწერები: F – ურბნისის ოთხთავი (A-28, XI ს.); G – პალესტინური ოთხთავი (H-1741, 1048 წ.), S – Sin.Geo. O.16 (XI ს.); c – S-962, K-688 (1054 წ.); l – ლიხაურის ოთხთავი (Q-645, XI ს.); w – Vienna georg. 1 (XI ს.); fr-17 (H-1792, XI ს. (იოანეს სახარება 2020)).

მიიჩნევადა. ეს საქმე თავს იდგა გიორგი მთაწმიდელმა/ათონელმა (1009–1065 წწ), რომელმაც სახარება-ოთხთავის არსებული ქართული თარგმანის<sup>25</sup> ბერძნულის მიხედვით სამგზის შესწორების შედეგად ქართული ოთხთავის ბოლო, ათონურად წოდებული რედაქცია (ვულგატა) ჩამოაყალიბა.<sup>26</sup> ბოლო პერიოდში ჩატარებული ტექსტოლოგიური კვლევები ადასტურებენ, რომ ოთხთავის ტექსტის რედაქტირებაზე გიორგი ათონელს ეტაპობრივად უმუშავია (თვალთვაძე 2008:12–20; Tvaltvaძე 2012: 213–229; თვალთვაძე 2015; ლუკას სახარება 2016, კვირკველია 2019, იოანეს სახარება 2020). გამოიკვეთა ხელნაწერთა ჯგუფიც, რომლებიც ამ მუშაობის პირველ ეტაპს ასახავს და შეიცავს გიორგისეული რეცენზიის ე. წ. შუალედურ ვარიანტს (სტატიაში აღვნიშნავთ G.1), ანუ იმ ტექსტს, რომელიც არსებულ თარგმანში მთარგმნელ-რედაქტორის მიერ ბერძნულთან ორგზის შედარების შედეგად შეტანილ ცვლილებებს („*ორჯელ პირველ შეემოწმა*“) ასახავს<sup>27</sup>, მაგრამ სხვაობს მის მიერვე ბერძნულთან კიდევ ერთხელ (მესამედ) შედარების შემდეგ მიღებული საბოლოო ტექსტისაგან (G.2). ოთხთავის სწორედ ამ ახალმა რეცენზიამ, როგორც „ახლადგაწმენდილმა“ და უნაკლო თარგმანმა, მოიპოვა საყოველთაო გავრცელება და ქართულ ვულგატად იქცა, რომელშიც „*ვითარ ბერძულსა სახარებასა შინა ყოველი სიტყუა დასაჯერებელ იყუნეს*“.<sup>28</sup> სახარება-ოთხთავის ტექსტის ბერძნულის მიხედვით შემდგომი გადამუშავება, რომელიც ელინოფილ მთარგმნელთა მოღვაწეობას უკავშირდება (XI–XII სს), მხოლოდ ეგზეგეტიკური ხასიათის თხზულებებში გვხვდება და სახარება-ოთხთავის ახალი რედაქციის შექმნას არ ისახავდა მიზნად. ამ დროს საქართველოს ეკლესიებში და საზღვარგარეთ არსებულ ცენტრებში ფართოდ ვრცელდება გიორგისეული ვულგატა.

<sup>25</sup> სახარების გიორგი ათონელისეული რედაქციის ტექსტზე დართულ ანდერძში გიორგი ქართული ოთხთავის ორ რედაქციას ასახელებს – ხანმეტურსა და საბაწმიდურს, რომელთაგან პირველი ენობრივი ნიშნით (S<sub>2</sub>O<sub>3</sub> პირის პრეფიქსებად ხანის გამოყენების მიხედვით) არის სახელდებული (შანიძე 1981). სწორედ ის უნდა ყოფილიყო არქეტიპი მოგვიანებით ფართოდ გავრცელებული ოპიზური რედაქციისთვის. მეორე – საბაწმიდური სახარების შესახებ კი გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის შეიძლება წარმოადგენდეს სხვა თარგმანს, რომლის ფრაგმენტები (ლკ. 18:40; ლკ. 19:1–12) დაუცავს H-999 პალიმფსესტურ ხელნაწერს (ქაჯაია 2014: 5–11).

<sup>26</sup> ამის შესახებ ცნობა დაცული გვაქვს სახარების ხელნაწერებს დართულ ანდერძებშიც: „ესე უწყოდეთ, წმიდანო მამანო, რომელნიცა მიემთხვნეთ წმიდას ამას სახარებასა, ფრიად მართალი და წმიდაა არს მამისა ეფთემეს სახარებათადა შეწამებული, **ბერძულსა ორჯერ** და ქართულსა და ყოვლითურთ უნაკლოდ რიცხვთა და კანონითა. და განთესულნი არღარა დავწერენ ამისთვის, რამეთუ ზანდუკი მასვე მოასწავებს და რად არს ჭირი ორკეცი, პატივიცა წიგნისა და უშუერდებოდა და ყოველსავე ზედა შემინდვეთ. ღმერთმან გარწმუნოს“ (A-484, 314v); „...ნიკოლას ხუცესსა მიეცინ ღმერთმან სასყიდელი და მადლი ჩემისა კეთილისათვს და წყალობისა. მისითა დედითა დავწერე, რომელ მას დაწერა გიორგი მთაწმიდელის სახარებისაგან, რომელი გიორგი მთაწმიდელსა **ბერძულთა სახარებათა შეემოწმა მესამედ. ორჯელ პირველ შეემოწმა**. ღმერთმან მიეცინ სასყიდელი სულსა მისსა შრომისათვს, ამენ“ (A-845, 305v).

<sup>27</sup> ალავერდის, იენაშის, ქურაშის ოთხთავები, ასევე Ivir.georg.62-ის ქვედა ფენის ტექსტი. იხ. ლუკას სახარება 2016; იოანეს სახარება 2020; Sarjveladze 2021: 169–174; კვირკველია, 2019: 116–162.

<sup>28</sup> K-76, 352v, გადამწერის ანდერძი. 1060 წელს შავ მთაზე, კალიპოსის მონასტერში გადაწერილი ეს ხელნაწერი გიორგის მიერ ოთხთავის საბოლოოდ რედაქტირების შედეგად მიღებული ტექსტის (ათონური ვულგატის) შემცველი ყველაზე ძველი თარიღიანი კოდექსია.

მიუხედავად იმისა, რომ სახარება-ოთხთავის ქართული ხელნაწერების რედაქციული კუთვნილება მეტ-ნაკლებად სწორად არის განსაზღვრული, იშვიათად, მაინც გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა ტექსტის გამომცემელი შეცდომას უშვებენ. ძირითადად, ამის მიზეზი იმის გაუთვალისწინებლობაა, რომ ხელნაწერის წაკითხვა პირველადი კი არ არის, არამედ ჩასწორების შედეგია, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება სახარების ტექსტის ისტორიის მკვლევართ არასწორი დასკვნების გაკეთებისკენ უბიძგოს.

**ოპიზის ოთხთავის რედაქტირებული ადგილები.** ამის მაგალითია ოპიზის ოთხთავი (Ivir.georg. 83), რომელიც, როგორც სახარების ერთ-ერთი უძველესი თარიღიანი ხელნაწერი (გადაწერილია 913 წელს), ყოველთვის წარმოადგენდა ინტერესის საგანს, მისი ტექსტის გამოცემაც (უფრო სწორად, მისი ვარიანტული წაკითხვებისა) რამდენჯერმე მოხდა. მაგრამ რამდენად ავთენტურია ის წაკითხვები, რომელსაც ტექსტის გამომცემლები უთითებენ როგორც ოპიზის ოთხთავის ვარიანტულ წაკითხვას?


ტექსტის პირველი პუბლიკაცია (მათეს და მარკოზის სახარებებისა) ტბეთის ოთხთავთან ერთად ეკუთვნის ვლადიმერ ბენეშევიჩს, რომელმაც 1909–1911 წლებში გამოსცა მათეს და მარკოზის სახარებების ტექსტი (ბენეშევიჩი, 1909–1911). 1928 წელს რ. ბლეიკმა გამოაქვეყნა ადიშის ოთხთავში დაცული მარკოზის სახარების ტექსტი ოპიზისა და ტბეთის ოთხთავების ვარიანტების მითითებით და პარალელური ლათინური თარგმანით (Blake 1928: 439–574); 1933 წელს მანვე გამოსცა ადიშის ოთხთავის ხელნაწერიდან მათეს სახარება, რომელსაც აპარატში ოპიზისა და ტბეთის ოთხთავის ვარიანტებიც ახლავს ლათინური თარგმანითურთ (Blake 1933); 1950 წელს რ. ბლეიკისა და მ. ბრიერის მიერ იმავე წესით გამოიცა იოანეს სახარებაც (Blake/Brière 1953), 1955 წელს კი მ. ბრიერმა დაასრულა რ. ბლეიკთან ერთად დაწყებული საქმე და გამოსცა ლუკას სახარებაც (Brière 1955). ამ გამოცემებში ოპიზის ოთხთავის ვარიანტები აღნიშნულია A ლიტერით, ტბეთისა კი B-თი. 1984 წელს ლ. ქაჯაიამ გამოაქვეყნა პალიმფსესტური ხელნაწერების (A-89 და A-844) ქვედა ფენაში ამოკითხული ხანმეტი სახარების ტექსტი (ქაჯაია 1984), რომლის აპარატში სხვა ძველ ხელნაწერებთან ერთად (C – ადიშის, B – ტბეთის, D – ჯრუჭის, E – პარხლის, F – ბერთის), მოყვანილია ოპიზის ოთხთავის ვარიანტებიც (აღნიშნულია A ლიტერით). გამომცემელი ხელმძღვანელობდა ამ ნუსხის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ფოტოკოპირით (Rt XI N6), რომელიც შავ-თეთრი მიკროფირისგანაა დამზადებული; ოპიზის ოთხთავის ვარიანტული წაკითხვები ასახულია სახარება-ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის გამოსაცემად მომზადებაზე მომუშავე თსუ-ს მკვლევართა ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებშიც (ლუკას სახარება 2016, იოანეს სახარება 2020), სადაც ოპიზის ოთხთავი აღნიშნულია O (O\*/O#) ლიტერით; 2017 წელს გამოქვეყნდა ქართული ოთხთავის რედაქციების ელექტრონული სინოპტიკური გამოცემა – The Old Georgian Four Gospels: Complete Synopsis, რომელიც ხელნაწერების, ფაქსიმილებისა და გამოცემების მიხედვით მოამზადეს ლელა სამუშიამ და ნათია დუნდუამ.<sup>29</sup> ამ გამოცემაში ოპიზის

<sup>29</sup> Synopsis completa (2017), <http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/ntkpl/ntkpl.htm>.


ოთხთავი (A) შუალედური რედაქციის (eA) ნუსხადაა წარმოდგენილი ბერთის (B), ურბნისის (F), პალესტინურ (G), ტვიბერის (t), ქურაშის (k) ოთხთავებთან ერთად. როგორც აღვნიშნეთ, ოპიზის ოთხთავი რედაქტირებული ხელნაწერია, რომელშიც რეალურად ორი შრე გამოიყოფა და მისი ტექსტის კვლევაც ამის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. სამწუხაროდ, დღემდე არსებულ გამოცემებში ეს მიდგომა ყოველთვის სისტემურად გატარებული არ არის. უმრავლეს შემთხვევაში ოპიზის ნუსხის იკითხვის მითითებულია დაზუსტების გარეშე, არ ჩანს, ის პირველადია თუ მეორეული (თავდაპირველი წაკითხვაა თუ კორექტირებული). სწორედ იმის გამო, რომ გამოცემლები უმრავლეს შემთხვევაში ეყრდნობოდნენ არა თავად ხელნაწერს, არამედ სარგებლობდნენ ფოტოებით (ან უფრო ადრეული პუბლიკაციებით), ზოგიერთ მათგანში დასანანი შეცდომები იქნა დაშვებული. მაგალითად, რ. ბლეიკის გამოცემაში კორექტირებული ადგილების (მეორეული წაკითხვების) შესახებ ინფორმაცია (რასაც მკვლევარი გამოცემის აპარატში აღნიშნავს შემოკლებით post.) ყოველთვის მოწოდებული არ არის, ამიტომ მის მიერ ოპიზის ოთხთავის წაკითხვად მითითებული ვარიანტები გადავიდა სინოპტიკურ გამოცემაშიც,<sup>30</sup> რომელიც ბლეიკის გამოცემას დაეყრდნო. ამან კი, თავის მხრივ, ამ გამოცემაში ოპიზის ოთხთავის (სინოპტიკურ გამოცემაში აღნიშნულია A ლიტერით) ე.წ. შუალედური (Intermediate red.) რედაქციის (აღნიშნულია e ლიტერით) ნუსხად წარმოდგენა გამოიწვია. 913 წლის ხელნაწერი, რომელიც ნამდვილად პროტოვულგატური რედაქციის ტექსტს შეიცავს, გაერთიანდა იმ ქვეჯგუფში, სადაც მეცნიერთა ნაწილის მიერ ექვთიმე ათონელის რედაქციად მიჩნეული (იმნაიშვილი 1979: 82–152) ურბნისის (F) და პალესტინური (G) ოთხთავებია წარმოდგენილი, რაც მართებული არ არის. სინამდვილეში ყველა ის წაკითხვა, რომელიც ოპიზის ხელნაწერს ე. წ. გარდამავალი ჯგუფის ხელნაწერებთან აახლოებს და რომელთაც, როგორც ჩანს, ეყრდნობიან გამომცემლები მისი რედაქციის განსაზღვრისას, ტექსტის გვიანდელი სწორების შედეგია, რაც კარგად ჩანს ხელნაწერის როგორც ციფრულ, ისე შავ-თეთრ ფოტოებზე (სურ. N6 და N7).



სურ. N6 (Ivir.georg. 83, 12v-13r)



სურ. N7 (Ivir.georg. 83, 12v-13r)



იმის დასადგენად, როგორი იყო ოპიზის ოთხთავის თავდაპირველი ტექსტი (O), რომელ რედაქციაში და ხელნაწერთა რომელ ჯგუფშია მისი ადგილი, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს მისი პირველადი, კორექტირებამდელი წაკითხვების

<sup>30</sup> Synopsis completa (2017), <http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/ntkpl/ntkpl.htm>.




აღდგენა, რაც მხოლოდ რელევანტური წყაროს გამოყენების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი (ასეთია ან თავად ხელნაწერი, ან მისი ციფრული ასლი). რასაკვირველია, ოთხთავის ქართული თარგმანის ტექსტის ისტორიისთვის მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, რა იკითხება ხელნაწერში რედაქტირების შემდეგ (O<sup>c</sup>) და რის მიხედვით შესწორდა ძველი ტექსტი. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად უნდა მოხდეს, ერთი მხრივ, ოპიზური ხელნაწერის რეკონსტრუირებული ტექსტის შედარება წინათონური რედაქციის სხვა ხელნაწერთან, მეორე მხრივ, მეორეული, რედაქტირებული ტექსტი უნდა შეუდარდეს ოთხთავის როგორც წინათონურ, ისე ათონური რედაქციის ნუსხებს. ჩვენ მიერ ჩატარებული ტექსტოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით, რომელიც 20-ზე მეტი წინათონური რედაქციის ხელნაწერისა და გიორგი ათონელისეული ტექსტის შემცველ 15-მდე ხელნაწერის შესწავლას ეფუძნება,<sup>31</sup> პირველ კითხვაზე – როგორი იყო ოპიზის ოთხთავის თავდაპირველი ტექსტი, პასუხი ცალსახაა – ის ხელნაწერთა იმ ჯგუფში ერთიანდება, რომელსაც ა. შანიძე პროტოვულგატად მოიხსენიებს და რომელშიც ოპიზის ოთხთავთან ერთად წარმოდგენილია X საუკუნის ისეთი ხელნაწერები, როგორებიცაა ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავები და მისი დაყენება ე.წ. შუალედური რედაქციის (სინოპტიკური გამოცემით e რედაქცია) შემცველი ნუსხების გვერდით, რომლებიც ბერძნულის მიხედვით შესწორებული ტექსტის შემცველ ნუსხებად მიიჩნევა და აერთიანებს X-XI საუკუნეების რამდენიმე ხელნაწერს, მათ შორის, ურბნისისა (F) და პალესტინურ (G) ოთხთავებს<sup>32</sup>, პირველადი ტექსტის რეკონსტრუქციის შემდეგ შეუძლებელია. მისი ადგილი ამ გამოცემის არა e (Red. e – Intermediate red.), არამედ c (Red. c – Proto-Vulgate) რედაქციის ხელნაწერებთანაა, რომელიც აღნიშნულ გამოცემაში წარმოდგენილია ჯრუჭის (D), პარხლის (E), ქსნის (K), ანბანდიდი სახარების (An) და ორი სინური ოთხთავის (R – Sin.15, P – Sin.30) ხელნაწერებით.<sup>33</sup>

<sup>31</sup> X – ხანმეტი ოთხთავი (A-89/A-844, VII ს.); O – ოპიზის ოთხთავი (Ivir. georg. 83, 913 წ.); D – ჯრუჭის ოთხთავი (H-1660, 936 წ.); A – ქსნის ოთხთავი (A-509; X ს.); E – პარხლის ოთხთავი (A-1453, 973 წ.); R – Sin.Geo. O.15 (978 წ.); P – Sin.Geo. O.30/38 (979 წ.); S – Sin.Geo. O.16 (X ს.); i – K-176 (X ს.); s – S-405 (X ს.); b – ქურაშის I ოთხთავი (A-1699, H-1886, H-1887, X ს.); e – პარხლის ახალი ოთხთავი (S-4927, X ს.); B – ბერთის ოთხთავი (ჰარვარდი, აშშ, Ms. Georgian 1, 998 წ.); T – წყაროსთავის ოთხთავი (A-98, X ს.); M – მარტვილის ოთხთავი (S-391, X ს.); L – ტბეთის ოთხთავი (რუსეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა, პეტერბურგი, 995 წ.); h – H-1240 (XI ს.); F – ურბნისის ოთხთავი (A-28, XI ს.); m – მესტიის ოთხთავი (სიემ. 1, 1033 წ.); G – პალესტინური ოთხთავი (H-1741, 1048 წ.); c – S-962, K-688 (1054 წ.); l – ლიხაურის ოთხთავი (Q-645, XI ს.); w – ვენის ოთხთავი (ავსტრიის ნაციონალური ბიბლიოთეკის N 1 ხელნაწერი, XI ს.); t – A-18 (XII ს.); r – A-411 (XVI-XVII სს.); α – კალიპოსის ოთხთავი (K- 76, 1060 წ.); n – შავი მთის (/ რუსის) ოთხთავი (A-845, XI ს.); V – ვატიკანის ოთხთავი (Vatican Iber. 1, XI ს.); o – ოშკის სახარება (Ivir. georg. 62, XI ს.); N – Sin.Geo. O.19 (1074 წ.); Q – Jer.georg. 49 (XI ს.), H – ვანის ოთხთავი (A-1335, XII-XIII სს.); I – ემიაძინის ოთხთავი (XII-XIII სს.); K – გელათის ოთხთავი (Q-908, XII-XIII სს.), f – იენაშის ოთხთავი (სიემ. 3, XIII ს.); d – ქურაშის II ოთხთავი (XII-XIII სს.). სახარება-ოთხთავის ხელნაწერების ლიტერები მითითებულია ოთხთავის ქართული თარგმანის შემსწავლელი ჯგუფის გამოცემების მიხედვით (ლუკას სახარება 2016; იოანეს სახარება 2020).

<sup>32</sup> <http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/ntkpl/ntkpl.htm>.

<sup>33</sup> ამის შესახებ დეტალურად იხ. თვალთვალი 2019–2020: 181–210.

ოპიზის ხელნაწერში მხოლოდ მათეს სახარებაში 140-ზე მეტი მუხლია კორექტირებული<sup>34</sup> (ზოგიერთ მუხლში რამდენიმე ცვლილებაა შეტანილი) და მათი დიდი უმრავლესობა გამოცემაში გათვალისწინებული არ არის. მრავალი მაგალითიდან მოვიყვანო რამდენიმეს.



სურ. N8

ხელნაწერის 12v-ზე მათეს სახარების მე-9 თავის მე-13 მუხლი ასე იკითხება: „ხოლო თქვენ წარვედით და **ისწავეთ**, რად არს: წყალობად მნებავს და არა მსხუერპლი. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა“. ოპიზის ოთხთავის კორექტირებულ ტექსტში აქ ამოფხეკილია ერთი სიტყვა, რომელზეც ზემოდან შავი ფერის მელნით ნუსხურით გადაწერილია **ისწავეთ** (სურ. N8). პროტოვულგატური რედაქციის ყველა ნუსხაში ბერძნული  $\mu\acute{\alpha}\theta\eta\epsilon$  ზმნის შესატყვისად ერთნაირად იკითხება **ისწავეთ** („ხოლო თქვენ წარვედით და **ისწავეთ**, რად არს...“), გარდა

ჯრუჭის და პარხლის ოთხთავებისა, სადაც ამ ზმნის შესატყვისად გვაქვს **იკითხეთ** („ხოლო თქვენ წარვედით და **იკითხეთ**, რად არს: წყალობად მნებავს და არა მსხუერპლი.“). ოპიზის ოთხთავის რედაქტორს აქ ადრე დაწერილი სიტყვა საგულდაგულოდ ამოუფხეკია, მაგრამ ფოტოზე მაინც ჩანს მისი პირველი ორი ასო: **ი** და **კ**, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ აქ ჩასწორებამდე **იკითხეთ** ეწერა ისე, როგორც ეს ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებშია წარმოდგენილი. სინოპტიკური გამოცემის მიხედვით e რედაქციის ნუსხებად მიჩნეულ F და G ნუსხებში კი, წინათონური პერიოდის ყველა სხვა ნუსხის მსგავსად, აქ **ისწავეთ** იკითხება, ისევე, როგორც ათონურ ვულგატაში, რის მიხედვითაც ასწორებს ტექსტს რედაქტორი.

ასეთივე ვითარებაა ამ მუხლის ბოლო ფრაზასთან დაკავშირებითაც: სახარების ყველა ნუსხაში ეს მუხლი ასე მთავრდება: „არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა“, გარდა ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებისა, სადაც ემატება ფრაზა, რომელიც გვაუწყებს, რომ უფალი ცოდვილთა მოსაქცევადაც მოვიდა: „არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა და მოქცევად მათა“ (DE). როგორც ირკვევა, ოპიზის ოთხთავშიც სწორედ ეს წაკითხვა გვქონდა თავდაპირველად: იქ, ისევე როგორც ჯრუჭისა და პარხლის ნუსხებში, მუხლის დასასრულს სიტყვა **ცოდვილთა** შემდეგ ეწერა „და მოქცევად მათა“, მაგრამ ეს სიტყვები მოგვიანებით ამოუფხეკიათ (სურ. N8), ამიტომ ოპიზის რედაქტირებული ტექსტი ახლა სხვა წინათონური ხელნაწერების წაკითხვას იმეორებს და ასე იკითხება: „ხოლო თქვენ წარვედით და

<sup>34</sup> კორექტირებულია შემდეგი მუხლები: მთ. 8:9, 11, 16, 17, 24, 26, 27; მთ. 9:13, 16, 17, 18, 20, 21; მთ.10:8, 9, 11, 21, 27, 28, 29, 36, 37, 39, 41, 42; მთ. 11:5, 12, 14, 16, 21, 22, 23, 24, 27, 28, 30; მთ.12:4, 5, 8, 10, 12, 13, 16, 18, 22, 24, 26, 27, 29, 32, 36, 41, 42, 45, 46, 47, 49, 50; მთ.13:1, 2, 3, 4, 11, 12, 13, 48, 55, 56; მთ.14:5, 13, 24; მთ.15:2, 14, 17, 21, 23, 29, 32, 33; მთ. 16:1, 4, 9, 10, 12, 13, 14, 17, 23, 24, 25, 26; მთ.17:2, 3, 5, 7, 8, 9, 10, 12, 14, 18, 19, 20, 21, 22, 24, 26, 26; მთ.18:1, 2, 3, 16, 17, 22, 26, 27, 35; მთ.19:9, 17, 18, 21, 24, 27, 28; მთ.20:2, 7, 20, 30; მთ.21:9, 12, 15, 25, 46; მთ.22:11, 12, 24, 41; მთ.23:17, 19, 28, 29, 30, 34; მთ.24:3.

**ისწავეთ**, რად არს: წყალობად მნებავს და არა მსხუერპლი. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა“, თუმცა მისი რედაქტირებამდელი წაკითხვა ისეთივეა, როგორც DE-ში გვაქვს. როგორც ვხედავთ, მხოლოდ ამ სამ ნუსხაში (ODE) გვაქვს ერთნაირი ვარიანტი, რაც მათ აშკარა სიახლოვეზე მიგვანიშნებს.

**O<sup>c</sup>**. ხოლო თქუენ წარვედით და **ისწავეთ**, რად არს: წყალობად მნებავს და არა მსხუერპლი. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა.

**O**. ხოლო თქუენ წარვედით და **იკითხეთ** რად არს: წყალობად მნებავს და არა მსხუერპლი. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა **მოქცევად მათა**.


**DE**. ხოლო თქუენ წარვედით და **იკითხეთ** რად არს: წყალობად მნებავს და არა მსხუერპლი. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა და **მოქცევად მათა**.

**Pr**. ხოლო თქუენ წარვედით და **ისწავეთ**, რად არს: წყალობად მნებავს და არა მსხუერპლი. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა.


**FG**. ხოლო თქუენ წარვედით და **ისწავეთ**, რად არს: წყალობად მნებავს და არა მსხუერპლი. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა.

**G.2**. ხოლო თქუენ წარვედით და **ისწავეთ**, რად არს: წყალობად მნებავს და არა მსხუერპლი. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა.

მთ. 8:16 მუხლი ოპიზის ოთხთავში ახლა ასეთ წაკითხვას გვამღევეს: „და ვითარცა შემწუხრდა, მოჰკუარეს მას ეშმაკეულები მრავალი, და განასხა სულები იგი სიტყვთა და ყოველნი, რომელნი ბოროტად სნეულ იყვნეს, განკურნნა“. ხელნაწერის შავთეთრ ფოტოზეც (სურ. N9) კარგად ჩანს, რომ ამ მუხლში ცვლილებაა შეტანილი, კერძოდ, იგი-ის მერე ამოშლილია სიტყვა, რომლის წაკითხვა ფოტოზე არ ხერხდება, ციფრული ფოტო (სურ. N10) კი გვიჩვენებს, რომ ამოფხეკილია სიტყვა უკეთური.




სურ. N9 (Ivir.georg. 83, 10v)



სურ. N10 (Ivir.georg. 83, 10v)

შესაბამისად, ოპიზის ოთხთავის თავდაპირველი წაკითხვა აქ ასე აღდგება: „და ვი-  
თარცა შემწუხრდა, მოჰგუარეს მას ეშმაკეულები მრავალი, და განასხა სულები იგი  
**უკეთური** სიტყვთა და ყოველნი, რომელნი ბოროტად სნეულ იყვნეს, განკურნნა.“ ამ  
მუხლის ამგვარი ვარიანტი წინათონური რედაქციის ხელნაწერებიდან მხოლოდ  
ჯრუჭისა (D) და პარხლის (E) ოთხთავებში გვაქვს: „განასხა სულები იგი უკეთური.“  
(ამ რედაქციის არცერთ სხვა ხელნაწერში ეს სიტყვა არ დასტურდება), არ გვაქვს ის  
არც სინოპტიკურ გამოცემაში გარდამავალ რედაქციად გამოყოფილ e რედაქციის  
ხელნაწერებში (მაგ. FG-ში). ის არც ათონურ ვულგატაში იკითხება, რის მიხედვითაც  
ჩანს ნასწორები ოპიზის ოთხთავის ტექსტი (თვალთვაძე 2019–2020: 195–198). გამო-  
დის, რომ ერთადერთი ჯგუფი ხელნაწერებისა, რომლის წაკითხვასაც ემთხვევა ოპი-  
ზის ოთხთავის ორიგინალური იკითხვისი, გვიდასტურდება მხოლოდ ჯრუჭისა და  
პარხლის ოთხთავებში:

- Ⓒ ...განასხა სულები იგი სიტყვთა...
- Ⓓ ...განასხა სულები იგი **უკეთური** სიტყვთა ...
- Pr (DE) ...განასხა სულები იგი **უკეთური** სიტყვთა
- ⒺPr (FG) ... განასხა სულები იგი სიტყვთა...



სურ. N11

რედაქტორს შეუცვლია მათეს სახარების 9:16 მუხლის ტექსტიც, რომელიც შესწორების შემდეგ ოპიზის ოთხთავში ასე იკითხება: „*არა ვინ დაად-  
გის სადგმელი უმურკველი სამოსელსა ძუელსა, რამეთუ აღიღის სავსებაჲ სამოსლისა მისგან, და  
უფროდსი განხეთქილებაჲ შეიქმნის*“. სინოპტი-  
კური გამოცემის ავტორებს ოპიზის ოთხთავის ჩვენება სწორედ ამ სახით მოჰყავთ, მაგრამ რო-  
გორც ვხედავთ (სურ. N11), ტექსტი კორექტირე-  
ბულია: ამოფხეკილია *სადგმელის* მომდევნო სი-  
ტყვა და ფოტოზე კარგად გაირჩევა, რომ აქ ადრე  
ეწერა *ახლო*; წაშლილია დაქარაგმებულად დაწე-

რილი *რამეთუ* კავშირის შემდეგ მთელი ფრაზა, რომლის ადგილზე ახლა შავი მე-  
ლნიტ ნუსხური ასოებით წერია: *აღიღის სავსებაჲ სამოსლისა მისგან* გარდა ამისა,  
ამოფხეკილია ბოლო სიტყვის – *შეიქმნის* ზმნისწინი *შე*-, რის შედეგადაც ოპიზის  
ოთხთავის კორექტირებული წაკითხვა მართლაც სიტყვა-სიტყვით დაემთხვევა  
გარდამავალი ჯგუფის (e რედაქცია) ხელნაწერების წაკითხვას: „*არა ვინ დაადგის  
სადგმელი უმურკველი სამოსელსა ძუელსა, რამეთუ აღიღის სავსებაჲ სამოსლისა  
მისგან, და უფროდსი განხეთქილებაჲ შეიქმნის*“ (FG), რომელიც, თავის მხრივ, უც-  
ვლელად აქვს გადატანილი გიორგი ათონელს თავის საბოლოოდ რედაქტირებულ  
ტექსტში, ათონურ ვულგატაში (G.2). ხელნაწერის ფოტოზე დაკვირვება გამოავლენ-  
ს, რომ ოპიზის ოთხთავში ფრაზა, რომელიც *რამეთუ*-თი იწყება, შემდეგ ასე  
გრძელდებოდა: *გამობლულიძის სიმტკიცემან მან ახლისამან*. პროტივულგატური  
რედაქციის ხელნაწერებში აქ ასეთი ვითარება გვაქვს: მათს უმრავლესობაში ისეთი-



ვე წაკითხვა ფიქსირდება, როგორც გიორგისეულში, მხოლოდ ჯრუჭის და პარხლის ოთხთავებში დასტურდება ოპიზის ოთხთავის თავდაპირველი ვერსიის მსგავსი ფრაზა: „*არა ვინ დაადგის სადგმელი (სამოსელი E) ახალი უმურკველი სამოსელსა ძუელსა, რამეთუ გამოიბლულიძის (გამობლულიძის E) სიმტკიცემან მან ახლისამან და უფროდსი განხეთქილებაა შეიქმნის*“, რაც ცხადია, კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, ერთი მხრივ, ოპიზის ოთხთავის კავშირს ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებთან და, მეორე მხრივ, ურბნისისა და პალესტინურ ოთხთავებთან ერთად მის e რედაქციაში გაერთიანების არამართებულებას:

**O.** არა ვინ დაადგის სადგმელი ახალი უმურკველი სამოსელსა ძუელსა, რამეთუ გამოიბლულიძის სიმტკიცემან მან ახლისამან და უფროდსი განხეთქილებაა შეიქმნის.

**O<sup>c</sup>.** არა ვინ დაადგის სადგმელი უმურკველი სამოსელსა ძუელსა, რამეთუ აღილის სავსებაა სამოსლისა მისგან, და უფროდსი განხეთქილებაა იქმნის.

**DE.** არა ვინ დაადგის სადგმელი ახალი უმურკველი სამოსელსა ძუელსა, რამეთუ გამოიბლულიძის სიმტკიცემან მან ახლისამან და უფროდსი განხეთქილებაა შეიქმნის.

**Pr.** არა ვინ დაადგის სადგმელი უმურკველი სამოსელსა ძუელსა, რამეთუ აღილის სავსებაა სამოსლისა მისგან, და უფროდსი განხეთქილებაა შეიქმნის.

**Pr (FG).** არა ვინ დაადგის სადგმელი უმურკველი სამოსელსა ძუელსა, რამეთუ აღილის სავსებაა სამოსლისა მისგან, და უფროდსი განხეთქილებაა შეიქმნის.

**G.2.** არა ვინ დაადგის სადგმელი უმურკველი სამოსელსა ძუელსა, რამეთუ აღილის სავსებაა სამოსლისა მისგან, და უფროდსი განხეთქილებაა იქმნის.

მსგავსი მაგალითები საკმაოდ ბევრია, თუმცა ვფიქრობთ, სურათის შესაქმნელად ესეც საკმარისია. Ivir.georg. 83-ის კორექტირებული ადგილების შედარებამ ოთხთავის სხვა ხელნაწერებთან აჩვენა, რომ ოპიზის ოთხთავის თავდაპირველი ტექსტი, რომლის შეცვლაზე რედაქტორს სხვადასხვა მეთოდით (წაშლა, ზემოდან გადაწერა, ჩამატება, გადასწორება...) უმუშავია, ჯრუჭ-პარხლის რედაქციის ტექსტია და არა შუალედური (e) რედაქციისა. ოპიზის ნუსხის ამ ჯგუფის სხვა ძირითადი ხელნაწერებისგან განსხვავებული წაკითხვები, რომელთაც ეყრდნობიან გამომცემლები მისი რედაქციის დადგენისას, ტექსტის გვიანდელი სწორების შედეგად გაჩენილი წაკითხვებია. პირველადი წაკითხვების დიდი ნაწილის აღდგენა არ/ვერც მოხერხდებოდა ოპიზის ოთხთავის შავ-თეთრი ფოტოების მიხედვით, რაც არის ალბათ რ. ბლეიკის და მასზე დაფუძნებულ სინოპტიკურ გამოცემაში გაპარული უზუსტობის მიზეზიც. ნათელია, რომ ოპიზის ოთხთავი ჯრუჭის, პარხლისა და მეათე საუკუნის რამდენიმე სხვა ოთხთავთან ერთად ქმნის იმ ჯგუფს, რომელსაც აკაკი შანიძე

პროტოვულგატას უწოდებს. განსაკუთრებულ სიახლოვეს კი ის ჯრუჭისა და პარხლის ოთხთავებთან (ODE) ამჟღავნებს.<sup>35</sup>



იმავე მიზეზით აიხსნება ოპიზის ოთხთავთან დაკავშირებული რამდენიმე უზუსტობა, რომელიც დასტურდება ლამარა ქაჯაიას მიერ 1984 წელს გამოქვეყნებულ ხანმეტი ოთხთავის ტექსტის გამოცემაში (ქაჯაია 1984). გამომცემელმა პალიმფსესტებიდან (A-89; A-844) ამოკითხული ტექსტი რამდენიმე ხელნაწერთან, მათ შორის, ოპიზის ოთხთავთან შეადარა და ტექსტს ვარიანტების აპარატი დაურთო (გამოცემაში ოპიზის ოთხთავი აღნიშნულია A ლიტერით). ლ. ქაჯაიას, რასაკვირველია, რედაქციულად ეს ოთხთავი სწორად მიაჩნია პროტოვულგატური რედაქციის ხელნაწერად, მაგრამ იმის გამო, რომ სარგებლობდა მხოლოდ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული შავ-თეთრი ფოტოებით (Rt N21), მან ვერ შეძლო ამოეკითხა ოპიზის ხელნაწერში წაშლილ-ამოფხეკილი ადგილები, რის გამოც აპარატში ზოგან არასწორადაა მითითებული ოპიზის ოთხთავის ვარიანტები და რადგან არ/ვერ იქნა გათვალისწინებული ნუსხის პირველადი წაკითხვები, უფრო მკაფიოდ ვერ გამოიკვეთა ოპიზური ხელნაწერის დიდი სიახლოვე ჯრუჭისა (936 წ) და პარხლის (973 წ) ოთხთავებთან, რომლებიც აბსოლუტურ უმრავლესობაში ოპიზური ოთხთავის წაკითხვას იმეორებენ. ტექსტის ისტორიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ეს სამი კოდექსი (ODE) ერთნაირ ვარიანტებს გვიჩვენებს მაშინ, როცა ამავე ჯგუფის სხვა ნუსხები მათგან სხვაობენ.<sup>36</sup>

ცხადია, ამგვარ უზუსტობებს ობიექტური ფაქტორები განაპირობებდა. ხელნაწერის შავ-თეთრი ფოტოპირის მიხედვით ძნელია ტექსტში კორექტორ-რედაქტორის მიერ შეტანილი ყველა ცვლილების შემჩნევა და, მით უმეტეს, პირვანდელი წაკითხვის აღდგენა. თუ გავითვალისწინებთ ძველი მწიგნობრების სიბეჯითესაც, რომლებიც გულმოდგინედ ცდილობდნენ წაეშალათ ძველი და გადაეწერათ ახალი, ზოგჯერ ეს თითქმის შეუძლებელი ჩანს. ამიტომაც, რომ ლ. ქაჯაიას გამოცემულ ხანმეტი ოთხთავის აპარატში ოპიზის ხელნაწერის პირვანდელი წაკითხვა ბევრგან ასახული არ არის, რის შესახებაც გამომცემელი გამოკვლევაში ერთგან, კერძოდ, მთ. 17:5 მუხლის განხილვისას, სადაც ტბეთის (B), ბერთის (F), ჯრუჭის (D) და პარხლის (E) ოთხთავების ნაირწაკითხვები მოჰყავს (*ჰფარვიდა BF* აგრძელებდა *DE*), წერს: „*ოპიზის ნუსხის ჩვენება არ მოგვყავს. იგი ამ ადგილას ჩასწორებულია, სიტყვა წაშლილია და მოგვიანო ხელით წერია აგრძელებდა. ქვედა ფენა არ იკითხება, ალბათ აქ ეწერა ჰფარვიდა, თორემ ოპიზის ნუსხის შემდეგდროინდელი რედაქტორი მას სხვა ნუსხის მიხედვით არ შეასწორებდა. ასეთი ჩასწორებები ტექსტს ახასიათებს. ჩვენ ისინი*

<sup>35</sup> რასაკვირველია, საინტერესოა იმის დადგენაც, რის მიხედვით ასწორებს რედაქტორი ოპიზის ოთხთავის ტექსტს. ხელნაწერის რედაქტირებული ადგილების შედარებამ სხვა ხელნაწერებთან მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ოპიზის ოთხთავის თავდაპირველი ტექსტი გასწორებულია გიორგი ათონელის რედაქციის მიხედვით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ჩარევის შედეგად მიღებული კორექტირებული ტექსტი (O<sup>c</sup>) ზოგჯერ უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც სხვაობს გიორგისეული ტექსტისგან და წინათონური რედაქციის სხვა ნუსხების წაკითხვას იმეორებს (თვალთვაძე 2019–2020: 181–210)


<sup>36</sup> ამის შესახებ იხ. თვალთვაძე 2019–2020: 191–195.

აპარატში არ გაგვითვალისწინებია“ (ქაჯაია 1984: 315 სქოლიო). როგორც ამ გვერდის ციფრული ფოტოსასლიდან ჩანს (სურ. N12, 33v), აქ მართლაც ეწერა *ჰფარვიდა*, რომლის ამოკითხვა შავ-თეთრ ფოტოზე ნამდვილად შეუძლებელია:



სურ. N12 (Ivir. Georg 83, 33v)

სამაგიეროდ, ციფრულ ფოტოზე (სურ. N13, 33v) კარგად გაირჩევა, რომ აქ *აგრილობდა* სიტყვის ნაცვლად, რომელიც შავი ფერის მელნით ნუსხურად გადაუწერიათ წამლილი სიტყვისთვის, ადრე *ჰფარვიდა* ეწერა (ჩანს ამ სიტყვის პირველი ორი ასოს კვალი (*ჰფ*) და ბოლო მარცვალი (*და*). მაგრამ ზემოთ მოხმობილ ციტატაში უფრო საყურადღებოა გამომცემლის მიერ გაცხადებული პოზიცია – „*ასეთი ჩასწორებები ტექსტს ახასიათებს. ჩვენ ისინი აპარატში არ გაგვითვალისწინებია*“,



სურ. N13, 33v

რაც მეთოდოლოგიურად სრულიად გაუმართლებელია (თუმცა გასაგებია, რა ტექნიკურმა სირთულეებმაც გამოიწვია ეს). ხელნაწერის გამოცემის დროს, განსაკუთრებით ისეთი მნიშვნელოვანი ხელნაწერის გამოცემისას, რომელიც წინათონური პერიოდის ოთხთავის ხელნაწერთაგან ერთ-ერთი უძველესი თარიღიანი ნუსხაა, ყველა დეტალი უნდა იქნეს გათვალისწინებული, მით უფრო აღნუსხული და მითითებული უნდა იყოს ხელნაწერის რედაქტირების ყველა შემთხვევა და, შეძლებისდაგვარად, აღდგენილი სწორებამდელი წაკითხვა. სხვაგვარად ტექსტის გამოცემა მნიშვნელოვანი დასკვნების გასაკეთებლად არ გამოდგება.

**რედაქტირებულია Ivir.georg. 62** ხელნაწერიც, რომელშიც სახარების პირველადი ტექსტი (o)<sup>37</sup> ჩასწორებულია ათონური ვულგატის მიხედვით (კვირკველია 2019).

<sup>37</sup> Ivir.georg. 62-ის (იგივე ოშკის სახარება) თავდაპირველ (ორიგინალურ წაკითხვას) აღვნიშნავთ სიგლით o, მის კორექტირებულ ტექსტს კი აღვნიშნავთ o°.

თავდაპირველი ტექსტის შეცვლაზე რედაქტორი აქაც სხვადასხვა მეთოდით (წაშლა, ზემოდან გადაწერა, ჩამატება, გადასწორება...) მუშაობს იმ მიზნით, რომ არსებული ტექსტი „ახლისადა მიიყვანოს“ – ანუ ჩაასწოროს გიორგისეული რედაქციის ტექსტის მიხედვით.

ქვემოთ წარმოდგენილ ფოტოებზე, რომლებზეც ლუკას სახარების დასაწყისია აღბეჭდილი (150v), პირველი (სურ. N14) მიკროფირიდან დამზადებული შავ-თეთრი ფოტოა,<sup>38</sup> მეორე კი დიგიტალიზირებული ხელნაწერის ფერადი ფოტოასლი<sup>39</sup> (სურ. N15). ორივე ფოტოზე კარგად ჩანს, რომ ტექსტი რედაქტირებულია (წაშლილია ძველი და გადაწერილია ახალი, ჩამატებულია სიტყვები...). მიუხედავად იმისა, რომ სწორების კვალი ორივე ფოტოზე თვალსაჩინოა, აშკარაა, რომ ციფრული ფოტო გაცილებით მეტი დეტალის გარკვევის საშუალებას იძლევა, ვიდრე შავ-თეთრი (მაგ., მელნის ფერი, ტექსტის სტრუქტურირებისთვის გამოყენებული საზედაო ასოები, ამონიოსის სექციების და ევსების კანონების რიგითი ნომრის მაჩვენებლები, სიტყვის ამომლილი ნაწილები, მარცვლები, ასოები, ასოთა ნაწილები და სხვ., რაც შავ-თეთრ ფოტოზე არ ჩანს). შევეცდებით რამდენიმე ადგილის რეკონსტრუირების მაგალითზე ვაჩვენოთ ციფრული კოდიკოლოგიის „სიკეთენი“.


ლუკას სახარების პირველივე მუხლის (ლკ. 1:1) ამჟამადელი (o<sup>c</sup>) წაკითხვა ხელნაწერში ასეთია: „**ვინამთგან უკუე მრავალთა კელ-ყვეს აღწერად მითხრობისა საქმეთათჳს გულსავსე-ქმნილთა ჩუენ შორის**“ (სურ. N16, 150v). უნდა აღინიშნოს, რომ ეს ადგილი ლუკას სახარების ქართული თარგმანის სხვადასხვა რედაქციაში სხვადასხვანაირად არის წარმოდგენილი, ნაირწაკითხვები გვაქვს ერთი რედაქციის ფარგლებში გაერთიანებულ ხელნაწერთა ქვეჯგუფებშიც (ლუკას სახარება 2016).

ამჟამად Ivir.georg. 62 ხელნაწერის ლკ. 1:1-ის კორექტირებული ტექსტი (o<sup>c</sup>) ემთხვევა გიორგისეული ვულგატის (G.2.) წაკითხვას. მაგრამ რა ეწერა ტექსტში იქამდე, სანამ რედაქტორი წაშლიდა ძველს და გადააწერდა ახალ ვარიანტს? აშკარაა, რომ ჩვენს ხელნაწერში მუხლი იწყებოდა სხვაგვარად. სიტყვები „**ვინამთგან უკუე**“ შავი ფერის მელნითა და განსხვავებული ხელით არის გადაწერილი ამოფხეკილ ასოზე, რომელიც იწყებდა ამ მუხლს და რომელიც, ისევე როგორც ამჟამინდელი პირველი სიტყვა (*ვინამთგან*) საზედაო ასოთი დაიწყებოდა.


<sup>38</sup> <https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00271050331-ma/?sp=158> : (1000) Monastery of Iviron 62. Four Gospels. 11th cent. 297 f. – 1099. [Manuscript/Mixed Material] Retrieved from the Library of Congress, <https://www.loc.gov/item/00271050331-ma>.

<sup>39</sup> ხელნაწერის დიგიტალიზაცია მოხდა ფოლკსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო პროექტის „ქართული პალიმფსესტური ხელნაწერები“ (GeoPal) ფარგლებში. ფოტოები მოგვარდა პროექტის ხელმძღვანელმა პროფ. იოსტ გიპერტმა, კვლევებში მათი გამოყენების ნებართვისთვის მადლობას ვუხდით „ივირონის“ ბიბლიოთეკარს მამა თეოლოგოსს.






სურ. N14 (Ivir.georg. 62,150v)



სურ. N15 (Ivir.georg. 62,150v)

ხელნაწერის შავ-თეთრ ფოტოზე ჭირს, მაგრამ ციფრული ფოტოზე კარგად ჩანს, რომ აქ ამოფხეკილია ერთი დიდი ზომის ასო, რომელიც დაქარაგმებულად იყო წარმოდგენილი (ჩანს ქარაგმის ნიშანი), რაც ამ ადგილას კავშირ *რამეთუს* (წ) აღდგენის საშუალებას იძლევა. სწორედ *რამეთუ*-თი იწყება ეს მუხლი პროტოვულგატური რედაქციის ხელნაწერებში, კერძოდ: ხანმეტ ოთხთავში (X), ოპიზის (O), ჯრუჭის (D) პარხლის (E), ასევე სინურ Sin.-15 (R); Sin.-30 (P); Sin.-16 (S); წყაროსთავის (T), ურბნისის (F) და პალესტინურ (G) ოთხთავებში: „*რამეთუ მრავალთა კელი შეყვეს [მიყვეს O] აღწერად*“. ასე რომ, Ivir.georg. 62-ში ლუკას სახარების პირველი მუხლის პირველი სიტყვაც სწორედ *რამეთუ* უნდა ყოფილიყო.



სურ. N 16, 150v

ხელნაწერის კორექტირებისას უცვლელად არის დატოვებული ამ მუხლის მეორე სიტყვა – *მრავალთა*; რაც შეეხება ზმნას, რომელიც მას მოსდევს, ძველი წაკითხვა *კელყვეს*, ნაწილობრივ შეცვლილია: ამოფხეკილია ზმნისწინი *შე* ან *მი* (*შე* *ჰყვეს*/*მი* *ჰყვეს*), თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ამოფხეკილი პირველი ასო ზედა რეგისტრის ასოა (რაც მხოლოდ ციფრულ ფოტოზე დაკვირვების შედეგად გამოჩნდება), აქ *მი*- ზმნისწინი და, შესაბამისად, *მიჰყვეს* ფორმა უნდა აღვადგინოთ.

მომდევნო სიტყვას (*აღწერად*) გამსწორებელი არ შეეხება, შესაბამისად, ლუკას სახარების პირველი ფრაზა ასე წაკითხება: „*რამეთუ მრავალთა კელი მიჰყვეს აღწერად*“. ციფრულ ფოტოზე კარგად ჩანს, რომ სიტყვებს შორის *აღწერად* და *მითხრობისა*, რაც ახლა იკითხება რედაქტირებულ ტექსტში, დაწერილი უნდა ყოფილიყო

კიდევ ორი ასო, რომლებიც ამჟამად ამოფხეკილია (იხ. ზემოთ, სურ. N16). კონტექსტის გათვალისწინებით, ეს შეიძლება იყოს მხოლოდ და კავშირი, რაც მოგვცემს წაკითხვას *აღწერად და მითხრობად* [ად]. ბოლო სიტყვაში, რედაქტორი სიტყვის პირველ ნაწილს უცვლელად ტოვებს, მაგრამ ცვლის ბრუნვის ნიშანს, ნაცვლად ვითარებითი ბრუნვის – ად ნიშნისა (*მითხრობად*), წერს ნათესაობითის -ისა ნიშანს, რომ მიიღოს ის წაკითხვა, რაც გიორგისეული რედაქციის ტექსტში გვაქვს (*მითხრობისა*). შესაბამისად, ფრაზის დასაწყისი ასეთ სახეს მიიღებს: „*რამეთუ მრავალთა კელი მიჰყვეს აღწერად და მითხრობად*“.

როგორ გრძელდებოდა ეს ფრაზა თავდაპირველ ტექსტში? ცხადია, რომ წაკითხვა განსხვავდებოდა ახლა არსებულისაგან, სხვა შემთხვევაში რედაქტორი ასე გულმოდგინედ არ წაშლიდა მთელ ფრაზას, რომელიც, სავარაუდოდ, ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორც ეს გვაქვს პროტოვულგატური რედაქციის ხელნაწერებში: „*გულსავსედ სარწმუნოებისათვის ჩუენ შორის საქმეთა აღსრულებულთა*.“ ასეთ შემთხვევაში ლკ. 1:1-ის ტექსტი Ivir.georg.62 ხელნაწერის მიხედვით ასე რეკონსტრუირდება: „*რამეთუ მრავალთა კელი მიჰყვეს აღწერად და მითხრობად [გულსავსედ სარწმუნოებისათვის ჩუენ შორის საქმეთა აღსრულებულთა]*“.

რადგან, ერთი შეხედვით, ეს წაკითხვა ემთხვევა პროტოვულგატური რედაქციის ტექსტს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენი ხელნაწერის თავდაპირველი ტექსტიც პროტოვულგატური რედაქციისა იყო, რომელიც მოგვიანებით ვულგატის მიხედვით გასწორდა, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ საქმე ასე მარტივად არ არის. თუ ტექსტოლოგიურ კვლევას გავაგრძელებთ და ჩვენ მიერ რეკონსტრუირებულ ტექსტს შევადარებთ, ერთი მხრივ, პროტოვულგატური რედაქციის ხელნაწერებთან და, მეორე მხრივ, ათონური პერიოდის ნუსხების იმ ჯგუფთან, რომლებიც გიორგისეული რედაქციის ე. წ. შუალედურ ტექსტს წამოგვიდგენენ (ასეთია მაგალითად, ალავერდის ოთხთავი (a), იენაშის (f) და ქურაშის (d) ოთხთავები), სურათი უფრო ნათელი გახდება:

**o.** *რამეთუ მრავალთა კელი მიჰყვეს აღწერად და მითხრობად გულსავსედ სარწმუნოებისათვის ჩუენ შორის საქმეთა აღსრულებულთა.*

**o<sup>c</sup>.** *ვინააფთგან უკუე მრავალთა კელ-ყვეს აღწერად მითხრობისა საქმეთათვის გულსავსე ქმნილთა ჩუენ შორის.*

**Pr.** *რამეთუ მრავალთა კელი შეყვეს აღწერად მითხრობად გულსავსედ სარწმუნოებისათვის ჩუენ შორის საქმეთა აღსრულებულთა.*


**G.1.** *რამეთუ მრავალთა კელი მიჰყვეს აღწერად და მითხრობად გულსავსედ სარწმუნოებისათვის ჩუენ შორის საქმეთა აღსრულებულთა*

**G.2.** *ვინააფთგან უკუე მრავალთა კელ-ყვეს აღწერად მითხრობისა საქმეთათვის გულსავსე-ქმნილთა ჩუენ შორის.*

ვფიქრობთ, თვალსაჩინოა ათონური ხელნაწერის თავდაპირველი ტექსტისა (o) და გიორგისეული 1-ის (G.1) ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტის იდენტურობა და ისიც, რომ ორივე ერთნაირად განსხვავდება ვულგატის (G.2) წაკითხვისაგან, რაც გვამლევს იმის თქმის უფლებას, რომ ტექსტი, რომელსაც ასწორებს Ivir.georg.62-ის რედაქტორი, გიორგი ათონელის შუალედური რეცენზიისა და ჩვენი ხელნაწერი

ზემოთ დასახელებულ რამდენიმე ხელნაწერთან ერთად სწორედ ამ ჯგუფშია წარმოსადგენი.


საინტერესო ვითარება გვაქვს იმავე გვერდზე (150v) წარმოდგენილ ლკ.1:2 მუხლშიც, სადაც რედაქტორს წაუშლია ერთი სიტყვა, რომელზედაც ზემოდან გადაწერილია სიტყვა **მსახურ** (სურ. N17); გარდა ამისა, ამოშლილი და გადაკეთებულია რამდენიმე ასოც. ამგვარი გასწორების შემდეგ ეს მუხლი Ivir.georg. 62-ში ახლა ასე იკითხება: „*ვითარცა იგი მოგუცეს ჩვენ რომელნი დასაბამითგან თვთმხილველ და მსახურ ყოფილ უყვნეს სიტყვსა მის*“ და ის გიორგისეული ვულგატის წაკითხვას იმეორებს, რომელიც,




სურ. N17

თავის მხრივ, ემთხვევა პროტოვულგატური ხელნაწერების უმრავლესობის წაკითხვას. განსხვავებული ვარიანტი გვაქვს მხოლოდ ურბნისის (F, 109r) და პალესტინური (G, 131r) ოთხთავის ხელნაწერებში, სადაც ნაცვლად **მსახურისა** გვაქვს **მსმენელ** („*თვთმხილველ და მსმენელ ყოფილ იყუნეს სიტყვსა მის*“ (FG) .


**მსახურის** ნაცვლად **მსმენელი** დასტურდება G.1-ის ჯგუფის ხელნაწერებშიც: კერძოდ, ალავერდის (სურ. N18; 157r)<sup>40</sup> და იენაშის ოთხთავებში (სურ. N19; 145r)<sup>41</sup> „...*თვთმხილველ და მსმენელ ყოფილ იყუნეს სიტყვსა მის*“ (af), ქურაშის ოთხთავში აქ პროტოვულგატური ნუსხების მსგავსად **მსახური** გვაქვს (სურ. N20; 87v)<sup>42</sup> და ფრაზას ბოლოში აკლია **მის** ნაცვალსახელი – „*თვთმხილველ და მსახურ ყოფილ იყუნეს სიტყვსა*“ (d).



სურ. N18: ალავერდის ოთხთავი, 157r



სურ. N19: იენაშის ოთხთავი, 145r




სურ. N20: ქურაშის ოთხთავი, 87v

<sup>40</sup> ალავერდის ოთხთავი (A-484), კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც).

<sup>41</sup> იენაშის ოთხთავი (სიემ N 72; ხეც, Rt VII, N 5).

<sup>42</sup> ქურაშის ოთხთავი (სვანეთი, სოფ. ქურაშის წმ. გიორგის ეკლესია). ხელნაწერის დიგიტალიზაცია მოხდა INTAS-ის პროექტის ფარგლებში („Critical Edition of the Old Georgian Versions of Matthew’s and Mark’s Gospels – Catalogue of the Manuscripts Containing the Old Georgian Translation of the Gospels“, ref. no. 05-1000008-8026; <https://titus.uni-frankfurt.de/texte/caucasica/georgica/saxareba/svaneti/kurashi/kurashi.htm>).



სურ. N 21, 150v

მაგრამ ომკურ ხელნაწერში ამ მუხლში კიდევ ერთი ცვლილებაა, რომელიც არ ჩანს ხელნაწერის შავ-თეთრ ფოტოზე, მაგრამ გამოჩნდა ხელნაწერის დიგიტალიზირებულ ვერსიაში (სურ. N21, 150v): სიტყვაში „*სიტყვსა*“ აშკარად ამოშლილია *ყ* ასოს მომდევნო ასოს (სავარაუდოდ *უ*-ს) ნაწილი და მისი მომდევნო გრაფიკული ნიშანიც (სავარაუდოდ, *ა* ხმოვანი), რომლის აღდგენის შემთხვევაში ქვედა ფენის წაკითხვა ასეთი იქნება *სიტყუასა*, რომელსაც მსაზღვრელად წარმოდგენილი ნაცვალსახელი შეუთანხმდებოდა *ამას* ფორმით, რისი ნაკვალევიც ჩანს კიდევაც ფოტოზე: *ამას* ნაცვალსახელში პირველი *ა* ამოფხეკილია, მეორე *ა* კი შეცვლილია *ი* ხმოვნით.


ე. ი. ჩვენს ხელნაწერში ეს ადგილი თავდაპირველად ასე იკითხებოდა: „*სიტყუასა ამას*“, მთელი მუხლი კი ასე უნდა აღვადგინოთ: „*ვითარცა იგი მოგუცეს ჩუენ რომელნი დასაბამითგან თვთმხილველ და მსმენელ ყოფილ იყვნეს სიტყუასა ამას*“. ეს წაკითხვა კი ზუსტად არ დაემთხვევა არც პროტოვულგატურ და არც ათონური რედაქციის ნუსხებში წარმოდგენილ ვარიანტებს, სადაც *სიტყვსა მის* კონსტრუქცია გვაქვს:

- o ვითარცა იგი მოგუცეს ჩუენ რომელნი დასაბამითგან თვთმხილველ და მსმენელ ყოფილ იყვნეს *სიტყუასა ამას*.
- o<sup>o</sup>. ვითარცა იგი მოგუცეს ჩუენ რომელნი დასაბამითგან თვთმხილველ და მსახურ ყოფილ იყვნეს *სიტყვსა მის*.
- Pr. ვითარცა იგი მოგუცეს ჩუენ რომელნი დასაბამითგან თვთმხილველ და მსახურ ყოფილ იყვნეს *სიტყვსა მის* (*სიტყუასა ამას A*)
- FG. ვითარცა იგი მოგუცეს ჩუენ რომელნი დასაბამითგან თვთმხილველ და მსმენელ ყოფილ იყვნეს *სიტყვსა მის*.
- G.1. ვითარცა იგი მოგუცეს ჩუენ რომელნი დასაბამითგან თვთმხილველ და მსმენელ ყოფილ იყუნეს *სიტყვსა მის* (მის| ამის f, – d)
- G.2. ვითარცა იგი მოგუცეს ჩუენ რომელნი დასაბამითგან თვთმხილველ და მსახურ ყოფილ იყუნეს *სიტყვსა მის*.


როგორც ვხედავთ, Ivir.georg. 62-ის თავდაპირველ ტექსტში წარმოდგენილი კონსტრუქცია „*მსმენელ ყოფილ იყვნეს სიტყუასა ამას*“, უცხო არაა ქართული ოთხთავებისთვის, იგი დასტურდება ქსნის (A) ოთხთავში, ოღონდ იქ *მსმენელის* ნაცვლად გვაქვს *მსახურ* („*მსახურ ყოფილ იყვნეს სიტყუასა ამას*“), როგორც გვაქვს ეს პროტოვულგატური ხელნაწერების უმრავლესობაში და გიორგისეულ ვულგატაში. საინტერესოა, რომ იგივე კონსტრუქცია, ოღონდ *ქმნეს* ზნასთან, გვაქვს ადიშის



ოთხთავშიც: „ვითარცა მოგუასწავეს ჩუენ, რომელნი დასაბამით თუალით ვიხილეთ და მსახურ ექმნეს სიტყუასა მას.“<sup>43</sup>




სურ. N22 (Ivir.georg. 62, 93v)



სურ. N23 (Ivir.georg. 62, 93v)

ოთხთავის ქართული თარგმნის ისტორიისთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ სახარებათა ტექსტის რედაქტირებასთან ერთად ხდება მისი პარატექსტების, მაგალითად, სახარების თავთა დასახელების სიის (Κεφάλαια) და იქ წარმოდგენილი სათაურების (Τίτλοι) ტექსტის გასწორებაც. ამის კარგი მაგალითია ისევე ჩვენი ათონური ხელნაწერი N 62, რომელშიც თითოეულ სახარებას წინ უძღვის „თავები სახარებისა“, რომელზეც მის ვულგატასთან „მიმყვანებელ“ რედაქტორს საგანგებოდ უმუშავია. ზემოთ წარმოდგენილ ფოტოებზე (სურ. N 22 და სურ. N 23) კარგად ჩანს მარკოზის სახარების „თავების“ კორექტირებული ადგილები (განსხვავებულია ხელი და მელანიც).



სურ. N 24, 93v

ტექსტის რედაქტორი იმდენად გულმოდგინედ მუშაობს, რომ გადაფხვკილი ადგილების წაკითხვა დიგიტალიზირებულ ფოტოებზეც კი შეუძლებელია, თუმცა ალაგ-ალაგ მაინც შეიძლება პირველადი ტექსტის რეკონსტრუირება. მაგალითად, მარკოზის სახარების თავების სიაში 50-ე საკითხავის (ნ) სათაური Ivir.georg.62-ში ახლა ასე იკითხება: „რაჟამს აზიარნა მოწაფენი უფალმან საიდუმლოთა“ (სურ. N24, 93v), რომელიც ათონური ვულგატის წაკითხვის იდენტურია. თუმცა აშკარაა, რომ ეს ამ ხელნაწერის პირველადი წაკითხვა არ არის. სიტყვები აზიარნა

<sup>43</sup> Ivir.georg. 62 ხელნაწერის ოთხივე სახარების თითქმის ყველა თავდაპირველი წაკითხვა აისახა ე. კვირკველიას სადისერტაციო ნაშრომის დანართში წარმოდგენილ გიორგისეული ვულგატის ტექსტის აპარატში, რომელშიც ამ ათონური ხელნაწერის ქვედა ფენის ტექსტი აღნიშნულია o\* ლიტერით (კვირკველია 2019).

*მოწაფენი* გადაწერილია სხვა სიტყვაზე, რომელიც რედაქტორს ამოუშლია, ბოლო სიტყვაში კი სიტყვის ფორმა ისე შეუცვლია, რომ მიეღო წაკითხვა „საიდუმლოთა“. ფოტოზე დაკვირვება ამ სიტყვაში *ო*-ს შემდგომ *დ*-ის ამოკითხვის საშუალებას გვაძლევს, რომელზეც ტექსტის გამსწორებელს ზემოდან გადაუწერია *თ* და დაუმატებია *ა* ასო. აშკარაა, რომ, აქ ადრე ეწერა „საიდუმლოდ“, რაც გვაფიქრებინებს, რომ შემასმენელისთვის, რომელიც მას მართავდა, ის პირდაპირი დამატება უნდა ყოფილიყო, როგორც ეს არის პროტოვულგატური რედაქციის ხელნაწერებში: „*მისთვის რაჟამს გამოუცხადა უფალმან საიდუმლოდ თჳნიერ სისხლისა მსხუერპლი*“. ოღონდ აქ *აზი*-*არა* ზმნის ნაცვლად გვაქვს *გამოუცხადა* და, გარდა ამისა, პირდაპირი დამატება (საიდუმლოდ) გავრცობილია ფრაზით „*თჳნიერ სისხლისა მსხუერპლი*“, რაც ჩვენს ხელნაწერში არ არის წარმოდგენილი. ამიტომ იმის თქმა, რომ აქ ადრე ისეთივე წაკითხვა გვქონდა, როგორც პროტოვულგატური რედაქციის ხელნაწერებში, მართებული არ იქნება. თუ ამ კუთხით შევისწავლით G.1-ის ჯგუფის ხელნაწერებს, იენაშის ოთხთავში (f) აღმოვაჩინთ მარკოზის 50-ე თავის სათაურის ასეთ ვარიანტს: „*რაჟამს გამოუცხადა უფალმან საიდუმლოდ*“ (83v), რაც, Ivir.georg. 62-ის პირველადი წაკითხვის ამგვარი რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა: „*რაჟამს გამოუცხადა უფალმან საიდუმლოდ*“. უნდა აღინიშნოს, რომ ალავერდის და ქურაშის ოთხთავები აქ სრულიად განსხვავებულ ვარიანტს გვთავაზობენ: „*გამოცხადებისათვის საიდუმლოდსა ახლისა აღთქუმისა*“ (a, 99v; d, 55r), რაც საინტერესო მასალას იძლევა ამ ნუსხეებში წარმოდგენილი ამ პარატექსტის („თავები სახარებისა“) ურთიერთმართების კუთხით შემდგომი კვლევისათვის.

**o** რაჟამს აზიარნა მოწაფენი უფალმან საიდუმლოთა

**o** რაჟამს გამოუცხადა უფალმან საიდუმლოდ

**Pr.** მისთვის რაჟამს გამოუცხადა უფალმან საიდუმლოდ თჳნიერ სისხლისა მსხუერპლი

**G.1 (f)** რაჟამს გამოუცხადა უფალმან საიდუმლოდ


**G.1 (ad)** გამოცხადებისათვის საიდუმლოდსა ახლისა აღთქუმისა

**G.2.** რაჟამს აზიარნა მოწაფენი უფალმან საიდუმლოთა

გარდა ტექსტში შეტანილი ცვლილებებისა, ხელნაწერის ციფრული ფოტოები საშუალებას იძლევა გაირჩეს კოდექსის ისეთი მახასიათებლები, როგორცაა ხელის ცვლა, რუბრიკაცია, მელნის ფერის ცვლილება, ლინირება, რაც მანუსკრიპტის სრულფასოვანი პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიური კვლევისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტებია. მაგალითად, ოშკის სახარებაში, რომელიც ნაწერია ყავისფერი მელნით, მარჯვნივ დახრილი წვრილი, კუთხოვანი ნუსხური ასოებით, საზედაო ასოების ერთი ნაწილი ისევ ყავისფერი მელნითაა დაწერილი, ნაწილი კი სინგურით და ეს რუბრიკაციის მიზნითაა გაკეთებული. სინგურით დაწერილი საზედაო ასოთი დაწყებულია ტექსტის მონაკვეთები, რომლებიც ამონიოს ალექსანდრიელის სტიქომეტრიის მიხედვით არის გამოყოფილი (ე. წ. ამონიოსის სექციები), რომლის სათვალავი (რიგის მიმანიშნებელი რიცხვი ასომთავრული გრაფემებით) საზედაო ასოს ზემოდან ყავისფერი მელნით აწერია, ხოლო ქვემოთ ზის ევსები კესარიელის


კანონის ნომრის აღმნიშვნელი ნიშანი (მთავრული ასოები ა-დან ი-ს ჩათვლით), რომელიც ასევე წითელი ფერის მელნიტაა დაწერილი (სურ. N25, Ivir.georg. 62, 15v). სხვა შემთხვევაში მუხლის დასაწყისს მიანიშნებს ასომთავრულით დაწერილი დიდი ზომის ასო, რომელიც იმავე ფერის მელნიტაა ნაწერი, როგორც ტექსტი.

თუ კარგად დავაკვირდებით ამ გვერდის ფოტოს, შევნიშნავთ, რომ 3დ (24-ე) მუხლის დასაწყისთან საზედაო ასოს (შ-ს), გარდა ევსების კანონისა და ამონიოსის სექციის რიცხვისა, უზის კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც წითელი წერტილების გამოყენებით შექმნილ ერთგვარ დეკორატიულ ჩარჩოშია მოქცეული (ფერის გარჩევა შეუძლებელია შავ-თეთრ ფოტოზე (სურ. N26), მაგრამ კარგად ჩანს ხელნაწერის ამ გვერდის ციფრულ ასლზე (სურ. N27, 15v).




სურ. N 25 (Ivir.georg.62,15v)


ეს არის კიდევ ერთი სტიქომეტრიული ერთეულის, სახარების ტექსტში თემატური თვალსაზრისით გამოყოფილი შედარებით ვრცელი მონაკვეთების ე. წ. „თავების“ რიგითი ნომერი (ზ), რომელიც თავის (საკითხავის) დასაწყისს მონიშნავს. მისი ადგილი ხელნაწერის აშიაზე ისე მკაცრად განსაზღვრული არ ჩანს, როგორც ამონიოსის სექციის სათვალავისა (საზედაო ასოს ზევით) და ევსების კანონის ნომრისა (საზედაო ასოს ქვევით), მაგრამ ყველა შემთხვევაში, როცა ხდება მისი მითითება, ყველაზე ხშირად მარკირება ხდება სწორედ ფერით. მაგალითად, ქვემოთ წარმოდგენილ ფოტოზე (სურ. N28) მათეს სახარების მე-19 თავის („ათორმეტა მოწაფეთათჳს რაჟამს წარავლინა“) დასაწყისი მონიშნულია მარცხენა აშიაზე დაწერილი მთავრული ასოებით ႠႠ, რომელსაც ზემოთ და ქვემოთ ოთხი წითელი წერტილი უზის, ხოლო მარჯვნივ სახარების 44-ე თავის ნიშანს (ႠႡ) სამი სამ-სამი წითელი წერტილი აქვს დასმული (სურ. N29).




სურ. N26 (Ivir.georg. 62, 15v)




სურ. N27 (Ivir.georg. 62, 15v)



სურ. N28 (Ivir.georg. 62, 29v)



სურ. N29 (Ivir.georg.62, 132 r)



სურ. N30, 56v


როგორც აღვნიშნეთ, Ivir.georg. 62-ის ტექსტი ნაწერია ყავისფერი მელნით და ოდნავ მარჯვნივ დახრილი ნუსხურით, რედაქტორი კი შავი ფერის მელნით მუშაობს (სურ. N 30, 56v), მაგრამ, ვფიქრობთ, ხელნაწერში გაირჩევა კიდევ ერთი მწიგნობრის მუშაობის კვალი, რომელიც იმავე ყავისფერი მელნით წერს ტექსტის ზოგიერთ მონაკვეთს. აქ არ ვგულისხმობთ თვითონ გადამწერის მიერ ტექსტის გადაკითხვისას (ასლის დედანთან შეწამებისას) შემჩნეულ და შესწორებულ სიტყვებს, გამორჩენილ თუ ზედმეტად დაწერილი სიტყვის ან მისი ნაწილის შესწორებას (დიტოგრაფია, ჰაპლოგრაფია და სხვ.), რაც ასევე არც თუ იშვიათად გვხვდება აღნიშნულ ხელნაწერში.

აქ ვგულისხმობთ უფრო ვრცელ სეგმენტებს, მაგალითად, სახარებათა ბოლოს დართულ კოლოფონებს (სურ. N31, N32, 91v), ჩამატებულ წინადადეგებსა და აშიაზე მიწერილ მარგინალურ შენიშვნებს.


ქვემოთ წარმოდგენილ შავ-თეთრ ფოტოზე, მართალია, ჭირს გარკვევა, მაგრამ ციფრულ ფოტოზე კარგად ჩანს, რომ სახარების ტექსტი (a სვეტი) და მისი კოლოფონი (b სვეტი), ორივე ნაწერია ერთი ფერის მელნით, თუმცა ხელი განსხვავებულია. თავის მხრივ, იმავე ხელითა და მელნით არის ნაწერი მარგინალური შენიშვნებიც (სურ. N33, N34, N35).



მათეს სახარების კოლოფონი (Ivir.georg. 62, 91v)




სურ. N31 (Ivir.georg. 62, 91v)




სურ. N32 (Ivir.georg. 62, 91v)

სახარების კოლოფონი




სურ. N33  
(Ivir.georg. 62, 91v)

მარგინალური შენიშვნა




სურ. N34  
(Ivir.georg. 62, 116r)

მარგინალური შენიშვნა




სურ. N35  
(Ivir.georg. 62, 169r)

როგორც აღვნიშნეთ, ტექსტში ალაგ-ალაგ სწორებები ყავისფერი მელნითაცაა შეტანილი, რაც მხოლოდ ციფრულ ფოტოზე გაირჩევა (სურ. N36, სურ. N37), რაც ბადებს კითხვას, ხომ არ არის ეს შესწორებები შეტანილი სხვადასხვა დროს ან სხვადასხვა პირის მიერ, რაც, თავის მხრივ, ხელნაწერის ამ კუთხით შემდგომი კვლევის საჭიროების საკითხს სვამს.



სურ. N36 (Ivir.georg. 62, 122r)



სურ. N37 (Ivir.georg. 62, 123v)


ამ კონტექტში საინტერესოა ხელნაწერის ბოლო გვერდზე (Ivir.georg. 62, 297v) შემორჩენილი გიორგი მთაწმიდლის ფრაგმენტულად მოღწეული ანდერძის განხილვაც, რომელშიც ასევე გვაქვს ჩასწორებული ადგილი, რაც, ჩვეულებრივ, გვიანდელ კორექტურად ითვლება. ცნობილია, რომ ამ ანდერძის ორი რედაქცია არსებობს (A და B; შანიძე 1923: 399–420 / 1981: 280–294) და მათ შორის განსხვავება რამდენიმე ადგილის წაკითხვაშია, კერძოდ: A რედაქციაში დასაწყისში გვაქვს „ესე წმიდად ოთხთავი ჩუენ ახლად გვთარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთათა და ბერძულთა სახარებათადა შეგვწამებია ფრიადითა გამოწულილვითა“, B რედაქციის ხელნაწერებში კი ანდერძის დასაწყისი ასეთია: „ესე წმიდად ოთხთავი არათუ ახლად გვთარგმნია, არამედ ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთათა და ბერძულთა სახარებათადა შეგვწამებია ფრიადითა გამოწულილვითა“.<sup>44</sup> ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სხვაობაა ანდერძის ბოლო ნაწილში, სადაც A-ში B-სთან შედარებით წინადადებაში „გლახაკისა გიორგისთვის, ლოცვა ყავთ“ ჩამატებულია ფრაზა: „რომელმან ესე ვთარგმნე“, ან „რომელმან ესე დიდითა ლუაწლითა ვთარგმნე“; ზოგიერთ ხელნაწერში ანდერძის დაბოლოების ოდნავ განსხვავებული ვარიანტი წარმოდგენილი: „გლახაკისა გიორგისთვის თარგმანისა ლოცვა-ყავთ“.<sup>45</sup>

ის, რაც Ivir.georg. 62-ში გიორგის ანდერძიდან შემორჩა, ასე იკითხება: „...[შე]გვწამებია [ფრიადი]თა გამოწულილვითა. და ვინცა-ვინ დასწერდეთ, ვითა აქა ჰპოოთ, ეგ-

<sup>44</sup> ზოგიერთ ხელნაწერში ანდერძის რედაქტირების კვალიც ჩანს, მაგალითად, 1060 წლის კალიპოსის ოთხთავში (K-76, 310r) მისი თავდაპირველი ტექსტი, რომელიც B რედაქციისა, ისეა შესწორებული, რომ მიღებულია A-ს ტექსტი (თვალთვაძე, 2015).

<sup>45</sup> ანდერძების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული, რომელიც თავმოყრილია ზ. ალექსიძის ნაშრომში „გიორგი მთაწმიდლის ქართული ოთხთავის ანდერძები“ (ალექსიძე 2012: 156–174). ა. შანიძე ანდერძის ორი რედაქციიდან გიორგისეულად A ვარიანტს მიიჩნევს, რომლის მიხედვითაც გიორგის თავის თავს ოთხთავის მთარგმნელად აცხადებს (შანიძე 1981: 284–288). ა. შანიძის შეხედულებას არ იზიარებს კ. კეკელიძე, რომელსაც ავტოგრაფულად მიიჩნია ანდერძის B რედაქცია (კეკელიძე 1980: 412–413). გიორგისეულად B რედაქციას მიიჩნევს ი. იმნაიშვილიც (იმნაიშვილი 1979: 5). ზ. ალექსიძის აზრით, გამორიცხული არ არის ანდერძის ორივე (A და B) ვერსია გიორგის ეკუთვნოდეს და დაწერილი იყოს სახარების ტექსტზე მისი მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე (ალექსიძე 2012: 173).

რე დაწერეთ, თუ ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერაჲ, ღმრთისათჳს სიტყუათა ნუ სცვა-  
ლებთ, არამედ... ღმრთისათჳს ერთმანერთსა ნუ გაჰრევთ. და გლახაკისა გიორ-  
გისთჳს, რომელმან ესე ვთარგმნე,ლოცვა-ყავთ!“ (სურ. N38) და ეს ფრაგმენტი გიორ-  
გი მთაწმინდლის ანდერძის იმ ვარიანტს (A) თანხვდება, რომლის მიხედვითაც  
ათონელი მამა ოთხთავის ხელახალი მთარგმნელია.



სურ. N 38 (Ivir.georg. 62, 297v)


a სვეტი

- ...
11. გუწამებია [ფრღ]
  12. ითა გამოწული
  13. ლვითა: და ვინცა
  13. ვინ დასწერდეთ, ვი
  14. თა აქა ჰპოოთ,
  15. ეგრე დაწერეთ:
  16. თუ ამისგან ჯერ-გი
  17. ჩნდეს დაწერაჲ:
  18. ღთსათჳს სიტათა
  19. ნუ სცვალებთ. აჲ


b სვეტი

- ...
11. ღთისათჳს ერთმან
  12. ერთსა ნუ გჰრ
  13. ევთ: და გლახაკისა
  14. გისთჳს, რმან ესე
  - ვთარგმნე, ლოცვა
  15. ყავთ [ . . . . .
  16. . . . . .
  17. . . . . .
  18. . . . . .
  19. . . . . .]

ქვემოთ მოცემულ ფოტოზე (სურ. N39) ნათლად ჩანს, რომ ფრაზა: „*რომელმან ესე ვთარგმნე*“ ტექსტში ჩამატებულია იმავე ფერის მელნით და იმავე ხელით, როგორც  
თაც არის ნაწერი მთელი ტექსტი. აქ ის მეორეული სწორების შედეგი არ არის, რაც  
გვაფიქრებინებს, რომ ანდერძში ეს სიტყვები გადამწერმა წიგნის გადაწერის დროს-  
ვე ჩამატა და ამგვარი ცვლილებით მან ანდერძის B ვერსია (რომელსაც დედნიდან  
იწერდა და რომელშიც გიორგი ათონელი მთარგმნელად არ არის დასახელებული),  
თვითონვე ჩაასწორა ისე, რომ მისი A რედაქცია მიგვეღო, რაც, თავისთავად, საინტე-  
რესოა ფაქტია.



სურ. N39 (Ivir.georg. 62, 297v)



გიორგის ანდერძის Ivir.georg 62-ში შემორჩენილი ფრაგმენტის ანალიზისას ე. კვირ-  
კველია, სწორედ იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ ანდერძის ბოლოს ფრაზა „*რომელ-*



მან ეს ვთარგმნე“ იმავე ფერის მელნით არის ჩამატებული, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ანდერძის დასაწყისშიც B რედაქციისთვის ნიშანდობლივი წაკითხვა უნდა გვექნოდეს: „თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იქაც ქვედა ფენის ტექსტში ეწერებოდა „ესე წმიდად ოთხთავი არათუ ახლად გვთარგმნია“ და „არა თუ“ წაშლილი იქნებოდა“ (კვირკველია 2019: 43). ეს მართლაც არ არის გამორიცხული, მაგრამ საყურადღებოა კიდევ რამდენიმე ფაქტი, რომელიც გიორგის ანდერძს უკავშირდება. უპირველეს ყოვლისა, ის, რომ Ivir.georg. 62 ხელნაწერი გიორგი ათონელის შუალედური რედაქციის ტექსტის შემცველ კოდექსთაგან (aofd) ერთადერთია, რომელსაც გიორგი ათონელის ეს ანდერძი შემოუნახავს. იენაშის და ქურაშის ოთხთავებს ანდერძი არ ერთვის, ხოლო ალავერდის ოთხთავში კი გიორგი ათონელის სხვა ანდერძია წარმოდგენილი,<sup>46</sup> რომელშიც აქცენტი კეთდება სახარების არა ახლად თარგმნაზე, არამედ უფრო არსებული ქართული თარგმანის რედაქციების ჰარმონიზაციასა და ტექსტის ბერძნულთან ორჯერ შეწამებაზე. რამდენად არის შესაძლებელი, რომ ერთი და იმავე ტექსტისთვის გიორგის ორი სხვადასხვა ანდერძი დაეწერა? ვფიქრობთ, რომ გამორიცხული არ არის, რადგან ეს ანდერძები ერთმანეთისგან განსხვავებულ დროს და, რაც მთავარია, სახარების ტექსტის სხვადასხვა ხარისხით ცვლილების შედეგად ჩამოყალიბებული რეცენზიებისთვის დაიწერა<sup>47</sup>. ამ ანდერძის არსებობა Ivir.georg. 62-ში ახალ ასპექტებს წარმოშობს საკითხის შემდგომი კვლევისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ სტატიაში მხოლოდ ორი ხელნაწერის მაგალითი განვიხილეთ, ვფიქრობთ, მაინც გამოიკვეთა მთავარი სათქმელი: დიგიტალურმა ეპოქამ და ციფრულმა ტექნოლოგიებმა შეცვალეს არა მარტო ჩვენი ცხოვრება, არამედ ახალი სიცოცხლის დაწყების საშუალება მისცეს ძველ მანუსკრიპტებს. ჩვენი კულტურის „ხელით წერილი საგანძურის“ მცირე ნაწილის დიგიტალიზებამაც კი უკვე ნათლად დაგვანახა გაციფრულებული ხელნაწერების მნიშვნელობა კოდიკოლოგიური და ტექსტოლოგიური კვლევებისათვის.

<sup>46</sup> „ესე უწყოდეთ, წმიდანო მამანო, რომელნიცა მიემთხვნეთ წმიდასა ამას სახარებასა. ფრიად მართალი და წმიდად არს, მამისა ეფთჳემეს სახარებათადა შეწამებული ბერძულსა ორჯელ და ქართულსა, ყოვლითურთ უნაკლულოდ რიცხვთა და კანონითა. და განთესულნი არღარა დავწერენ ამისთვის, რამეთუ ზანდუკი მასვე მოასწავებს, და რად არს ჭირი ორკეცი, პატივიცა წიგნისა დაუშუერდებოდა. და ყოველსავე ზედა შემინდვეთ, ღმერთმან გარწმუნოს“ (A-484, 314v)

<sup>47</sup> ზ. ალექსიძის აზრით, „შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ყოველი ახალი შეჯერების შედეგად შექმნილი ხელნაწერისთვის ის ანდერძს წინა ხელნაწერიდან იწერდა. ბუნებრივია, რომ თავისი ანდერძი გიორგის ზეპირად ეცოდინებოდა და მხოლოდ მცირედ ნიუანსებს თუ დაუმატებდა. მაგალითად, გააძლიერებდა წინადადებას: ახლად ვთარგმნე და ბერძნულს შევუდარეო/არა მარტო ახლად ვთარგმნე, არამედ ბერძნულსაც შევუდარეო“ (ალექსიძე 2012: 173), მაგრამ, ვფიქრობთ, არც გვიანდელ მწიგნობართა როლია უგულვებელსაყოფი, რომლებიც ზოგჯერ „თვითმჯულობით“ ცვლიდნენ არა მარტო თარგმანის, არამედ ანდერძის ტექსტსაც. საყურადღებოა ამ მხრივ ვანის ოთხთავის (A-1335) გადამწერის ცნობა: „არა თვთ-მჯულობით ჰგონოთ შეცვლაჲ სიტყუათა წმიდისა ამის სახარებისა ანუ ანდერძისათაჲ ... და მას ნუსხასა თანა ფრიადი ნაკლულევაანებაჲ აქუს, და ვჰგონებ, რომელ თვთ-სჯულებით ვიეთმე ეკადროს მას შინა შეცვლაჲ სიტყუსაჲ, გინა ანდერძისაჲ, ვიდრე მწერლისაგან განწყუნად ...“ (A-1335, 266v; იმნაიშვილი 1979: 54).



## მითითებული ლიტერატურა და წყაროები

- ადიშის ოთხთავი (2003): ადიშის ოთხთავი 897 წლისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვამემ, მანანა მაჩხანელმა, ზურაბ სარჯველაძემ და სოფიო სარჯველაძემ, ზურაბ სარჯველაძის საერთო რედაქციით. თბილისი.
- ანზანდიდი (2010): სახარება-ოთხთავის IX საუკუნის ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მანანა მაჩხანელმა. თბილისი.
- ალექსიძე (2012): ზ. ალექსიძე, გიორგი მთაწმიდლის ქართული ოთხთავის ანდერძები: *ანალები* 2012, 156–174.
- ალექსიძე-ჩიტუნაშვილი და სხვ. (2017): ქართული პალიმფსესტები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (კატალოგი, ტექსტები, ალბომი), შეადგინეს ლამარა ქაჯაიამ, ხათუნა გაფრინდაშვილმა, ციცილო გულედანმა, ნათია მიროტაძემ, დალი ჩიტუნაშვილმა, ირმა ხოსიტაშვილმა, მთ. რედაქტორები: ზაზა ალექსიძე, დალი ჩიტუნაშვილი. თბილისი.
- ბენეშევიჩი (1909–1911): Четвероевангелие в древнем грузинском переводе по рукописям 913 и 995 гг. Вып. 1-2 [სახარებად ოთხთავი ორთა კელნაწერთაგან შიგ და შუე წელთათა, გამოსცა ვლადიმირე ბენეშევიჩმან, ნაკვეთი ა (სახარებად მათწს თავისად), ნაკვეთი ბ (სახარებად მარკოზის თავისად)]. Санктпетербургь.
- დანელია (1983): კ. დანელია, ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საკითხები. თბილისი.
- დანელია-სარჯველაძე (1997): კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია. თბილისი.
- თანდაშვილი-ყამარაული (2021): მ. თანდაშვილი, მ. ყამარაული, შესავალი დიგიტალურ ქართველოლოგიაში. თბილისი.
- თვალთვამე (2008): დ. თვალთვამე, რომელი რედაქციის ტექსტს შეიცავს ალავერდის ოთხთავი?: „*რელიგია*“ 2008/1, 12–20.
- (2009): დ. თვალთვამე, ევრემ მცირის კოლოფონები. თბილისი.
- (2015): დ. თვალთვამე, ოთხთავის ათონური რედაქციის უძველეს ხელნაწერებზე დართული კოლოფონები და ათონური რედაქციის ჩამოყალიბების საკითხი: *სპეკალი* 9, <http://www.spekali.tsu.ge>.
- (2019–2020): დ. თვალთვამე, ოპიზის ოთხთავის ტექსტისათვის (გაცხოველებული, კორექტირებული და რედაქტირებული ადგილები ოპიზის ნუსხაში): *ქართველური ენათმეცნიერება* VI–VII, 81–210.
- იმნაიშვილი (1949): ი. იმნაიშვილი, ქსნის ოთხთავის რედაქცია: *ლიტერატურული ძიებანი* V, 291–321.
- (1979): ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა. თბილისი.
- იოანეს სახარება (2020): იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანი, კრიტიკული ტექსტის ელექტრონული გამოცემა უძველესი ხელნაწერების მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვამემ, სოფიო სარჯველაძემ და თინათინ ჯიქურაშვილმა. <http://ogg.tsu.ge>.
- კველიძე (1980): კ. კველიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. თბილისი.
- კვირკველია (2019): ე. კვირკველია, სახარების XI საუკუნის ქართული ხელნაწერების კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზი და ოთხთავის გიორგი მთაწმინდლისეული რედაქციის ჩამოყალიბების ისტორია, სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილი ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი. [http://press.tsu.ge/data/image\\_db\\_innova/Eka%20Kvirkvelia.pdf](http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Eka%20Kvirkvelia.pdf).
- ლუკას სახარება (2016): ლუკას სახარების ძველი ქართული თარგმანი, კრიტიკული ტექსტის ელექტრონული გამოცემა უძველესი ხელნაწერების მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვამემ, სოფიო სარჯველაძემ და ეკა კვირკველიამ. <http://ogg.tsu.ge>.
- სარჯველაძე (2001): ზ. სარჯველაძე, წყაროსთვის ოთხთავი და ქართული ოთხთავის ეფთვიმესეული რედაქციის საკითხები: *ოსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები* 29, 109–133.
- სარჯველაძე (2003): ს. სარჯველაძე, ადიშის ოთხთავის მიმართებისათვის ოთხთავის სხვა რედაქციებთან: *ადიშის ოთხთავი 897 წლისა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი

- დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვაძემ, მანანა მაჩხანელმა, ზურაბ სარჯველაძემ და სოფიო სარჯველაძემ ზურაბ სარჯველაძის საერთო რედაქციით. თბილისი, 15–70.
- (2010): ს. სარჯველაძე, ოთხთავის ქართული თარგმანის ერთ-ერთი უძველესი რედაქცია, ტექსტი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული H-1240 XI საუკუნის ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო სოფიო სარჯველაძემ. თბილისი.
- სარჯველაძე-თვალთვაძე (2011): ს. სარჯველაძე, დ. თვალთვაძე, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული ტვიბერის ოთხთავის ხელნაწერი: *FOLIA CAUCASICA, Festschrift für Jost Gippert zum 55 Geburtstag*, Frankfurt am Main/Tbilisi, 99–118.
- ქაჯაია (1984): ხანმეტი ტექსტები, ნაკვეთი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ჯაქაიამ. თბილისი.
- (2014): საბაწმინდური ოთხთავი (პალიმფსესტი), ტექსტი ამოიკითხა, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი სიტყვა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ. თბილისი.
- შანიძე (1945): ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წ.წ.), გამოსცა აკაკი შანიძემ (ძველი ქართული ენის ძეგლები, 2). თბილისი.
- (1923/1981): ა. შანიძე, „უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო – ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში“: *ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე* 2, 1923, 399–424 / თხზულებანი 12 ტომად, ტ. II. თბილისი 1981, 280–294.
- შანიძე (1990): მზ. შანიძე, სიტყუად ართრონთათჳს – ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი. თბილისი.
- ჩხიკვაძე და სხვ. (2018): ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, შეადგინეს მაია კარანაძემ, ვლადიმერ კვეციამ, ლელა შათირიშვილმა და ნესტან ჩხიკვაძემ, ნესტან ჩხიკვაძის რედაქციით. თბილისი.
- ჯავახიშვილი (1923/1996): ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, *ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე* 2, 1923, 313–391 / თხზულებანი 12 ტომად, ტ. IX, თბილისი 1996, 263–352.
- ჯავახიშვილი (1926/1996): ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბილისი, 1926/თხზულებანი 12 ტომად, თ. IX, თბილისი 1996.
- Blake (1928): *The Old Georgian Version of the Gospel of Mark from the Adysh Gospels with the Variants of the Opiza and Tbet' Gospels*. Edited with a Latin Translation by Robert P(ierpont) Bl. (Patrologia Orientalis, XX/3). Paris.
- (1933): *The Old Georgian Version of the Gospel of Matthew from the Adysh Gospels with the Variants of the Opiza and Tbet' Gospels*. Edited with a Latin Translation by Robert P(ierpont) Bl. (Patrologia Orientalis, XXIV/1). Paris.
- (1933–1934): Robert P. B., „Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la Laure d'Iviron au Mont Athos“ [3], *Revue de l'Orient Chrétien*, 3.Sér. 9=29, 1933–1934, 225–271.
- Blake/Brière (1953): *The Old Georgian Version of the Gospel of John. From the Adysh Gospels with the Variants of the Opiza and Tbet' Gospels*. Edited with a Latin Translation by Robert P(ierpont) Bl. and Maurice Br. (Patrologia Orientalis, XXVI/4). Paris.
- Brière (1955): *La version Géorgienne ancienne de l'évangile de Luc, d'après les évangiles d'Adich avec les variantes des évangiles d'Opiza et de Tbet'*. Editée avec une traduction latine par Maurice Br. (Patrologia Orientalis, XXVII/3). Paris.
- Gippert (2007): *The Old Georgian Palimpsest Codex Vindobonensis georgicus 2*. Edited by Jost Gippert in cooperation with Zurab Sarjveladze and Lamara Kajaia (Monumenta Palaeographica Medii Aevi, Series Ibero-Caucasica, 1). Turnhout.
- Gippert et al. (2008–2010): *The Caucasian Albanian Palimpsests of Mount Sinai*. Edited by Jost Gippert, Wolfgang Schulze, Zaza Aleksidze, Jean-Pierre Mahé. 3 vols. (Monumenta Palaeographica Medii Aevi, Series Ibero-Caucasica, 2). Turnhout.
- Preathonian Redaction (2002): *The Old Georgian Four Gospels: Preathonian Redaction*. On the basis of the original manuscripts edited by Elguja Giunashvili, Manana Machkaneli, Sofio Sarjveladze, Zurab Sarjveladze

- and Darejan Tvaltadze, Tbilisi and Frankfurt a/M. 1999–2002, ARMAZI version by Jost Gippert. Frankfurt a/M, 7.6.2000 / 26.9.2002. <http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/cinant/cinan.htm>.
- Synopsis completa (2017): *Novum Testamentum georgice. Synopsis completa. The Old Georgian Four Gospels: Complete Synopsis*. On the basis of the original manuscripts, facsimiles and editions electronically prepared by Lela Samushia and Natia Dundua within the LOEWE research cluster "Digital Humanities Hesse", Frankfurt, 2011–2014; TITUS version by Jost Gippert, Frankfurt a/M, 12.1.2017 / 9.12.2017 <http://titus.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/ntkpl/ntkpl.htm>.
- Sarjeladze (2012): Sophio S., „The Problem of Establishing the Recensions of the Georgian Version of the Gospels“, in: *Textual Research on the Psalms and Gospels: Papers from the Tbilisi Colloquium on the Editing and History of Biblical Manuscripts*, edited by Christian-B. Amphoux & J. Keith Elliott with Bernard Outtier, Brill / Leiden / Boston, 167–190.
- (2021): Sophio S., „Some Issues on Old Georgian Versions and Manuscripts of the Gospel of John“, *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences* 15/2, 169–174.
- Tvaltadze, 2012 – Tvaltadze D., *The Manuscripts of Georgian Translations of the Four Gospels From the Black Mountain: Textual Research on the psalms and Gospels: Papers from the Tbilisi Colloquium on the Editing and History of Biblical Manuscripts*, Edited by Christian-B. Amphoux & J. Keith Elliott with Bernard Outtier, Brill, Leiden. Boston, 2012, p. 213-229.

Цагарели (1988): Александре А. Ц., *Свѣдѣнія о памятникахъ Грузинской письменности*. I. Санктпетербургъ.

## ვებგვერდები

- ARMAZI: Caucasian Languages and Cultures: Electronic Documentation (J. Gippert/ M. Tandashvili; Volkswagen-Stiftung); <https://armazi.uni-frankfurt.de>.
- <https://www.bnf.fr/en> (საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა).
- <https://digi.vatlib.it/mss/> (ვატიკანის ბიბლიოთეკა).
- <http://www.bl.uk/manuscripts/BriefDisplay.aspx> (ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკა).
- <https://www.loc.gov> (ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკა).
- TITUS: Thesaurus Indogermanischer Text- und Sprachmaterialien (J. Gippert); <https://titus.uni-frankfurt.de>.

## ხელნაწერები

- ხანმეტი ოთხთავი (ხეც. A-89/A-844, VII ს.)  
ოპიზის ოთხთავი (Ivir.georg. 83, 913 წ.)  
ჯრუჭის ოთხთავი (ხეც. H –1660, 936 წ.)  
ქსნის ოთხთავი (ხეც. A-509; X ს.)  
პარხლის ოთხთავი (ხეც. A – 1453, 973 წ.)  
Sin.Geo. O.15 (978 წ.)  
Sin.Geo. O.30/38, (979 წ.)  
Sin.Geo. O.16 (X ს.);  
K-176 (ქსიმ., X ს.);  
S-405 (ხეც. X ს.)  
ქურაშის I ოთხთავი (ხეც. A-1699, H-1886, H-1887, X ს.)  
პარხლის ახალი ოთხთავი (ხეც. S-4927, X ს.)  
ბერთის ოთხთავი (MS Georgian 1 ჰარვარდი, აშშ, 998 წ.)  
წყაროსთავის ოთხთავი (ხეც. A-98, X ს.)  
მარტვილის ოთხთავი (ხეც. S-391, X ს.)

- ტბეთის ოთხთავი (რუსეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა, პეტერბურგი; 995 წ.)  
H-1240 (ხეც. XI ს.)  
ურბნისის ოთხთავი (ხეც. A-28, XI ს.)  
მესტიის ოთხთავი (სიემ. 1, 1033 წ.)  
პალესტინური ოთხთავი (ხეც. H-1741, 1048 წ.)  
S-962, (ხეც)/K-688 (ქსიმ.1054 წ.)  
ლიხაურის ოთხთავი (ხეც. Q-645, XI ს.)  
ვენის ოთხთავი (ავსტრიის ნაციონალური ბიბლიოთეკის N1 ხელნაწერი, XI ს.)  
A-18 (ხეც. XII ს.)  
A-411 (ხეც. XVI-XVII სს.)  
კალიპოსის ოთხთავი (ქსიმ. K-76, 1060 წ.)  
შავი მთის (/ რუისის) ოთხთავი (ხეც. A-845, XI ს.)  
ვატიკანის ოთხთავი (Vatican Iber. 1, XI ს.)  
ოშკის სახარება (Ivir. georg. 62 (XI ს.)  
Sin.Geo. O.19 (1074 წ.)  
Jer. Geo. 49 (XI ს.)  
ვანის ოთხთავი (ხეც. A-1335, XII-XIII სს.)  
ეჩმიადინის ოთხთავი (ხეც. Rt XIX N 1, XII-XIII სს.)  
გელათის ოთხთავი (ხეც. Q-908, XII-XIII სს.)  
იენაშის ოთხთავი (სიემ. 73, XIII ს.)  
ქურაშის II ოთხთავი (სვანეთი. სოფ. ქურაში, XII-XIII სს.)  
საბაწმინდური ოთხთავი (ხეც. H-999.)  
(1000) Monastery of Iviron 62. Four Gospels. 11th cent. 297 f. – 1099. [Manuscript/Mixed Material] Retrieved from the Library of Congress, <https://www.loc.gov/item/00271050331-ma>.  
(0913) Monastery of Iviron 83. Four Gospels. 913 A.D. 260 f. 913. [Manuscript/Mixed Material] Retrieved from the Library of Congress, <https://www.loc.gov/item/00271050355-ma>.



**New Life of Old Manuscripts – Digitized Georgian Manuscripts and Their Importance for Codicological and Textological Studies**

Darejan Tvaltadze (Tbilisi)

The digital age, the development of modern technologies and the emergence of large databases have led to a drastic change in the scientific infrastructure in many fields of the Humanities, including manuscriptology. The fixation of old manuscripts in photographs and microfilms has been replaced by digitisation, which has made it possible to obtain high-quality digital photographs that have become a reliable source for the palaeographical, codicological and textological study of manuscripts.

Scientific projects that were initiated by Professor Jost Gippert at the Institute of Empirical Linguistics of Goethe University, Frankfurt, in collaboration with Georgian scholars in the late twentieth century, aiming to electronically document Georgian written sources and digitise ancient Georgian manuscripts, have proved to be crucial. It was within the framework of one such project that it became possible to fully digitise the collection of Georgian manuscripts preserved in the Iviron Monastery on Mount Athos.

The present article shows the importance of digital images for codicological and textual studies on the example of two of the Athonite manuscripts (Ivir.georg. 62 and Ivir.georg. 83) which contain the Old Georgian translation of the Gospels. Discussed are the new insights revealed as a result of the study of the digital images of these manuscripts, which open up new prospects for the further study of the history of the Georgian translation of the Gospels.